# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 18 სექტემბერი, 2014 წელი.

№190 (7571)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## „ნებისმიერი რევოლუციური სცენარი საზოგადოებას ხელისუფლების გარშემო შეკრებს“ 4



## ჩაუვარდებათ ნაცებს კოვზი ნაცარში? 3

„ოცნების“ დახურულ სხდომაზე გადაწყვიტეს, რომ პრეზიდენტთან ურთიერთობა „დალაგდეს“

## სპორტის კოლეჯი აღადგინეს! 10

## ედიშერ მაჩაიძეს – ოქროს სასტვენი



## მილიონი სახელმძღვანელო მაკულატურად გადაიქცევა?! 5

## ბიჭობაც ამოუვლელად გამველბიჭებულები... 6

## აფხაზეთიდან სამეგრელოში გადმომსვლელი მოსწავლეების რაოდენობამ იკლო 2



## ქართულ ზნეობას საფრთხე ემუქრება! 9

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**



# პრემიერ-მინისტრის ვიზიტი არაბეთში გრძელდება

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში არაბთა გაერთიანებული საემიროების პრემიერ-მინისტრს და დუბაის მმართველს შეიხ მოჰამედ ბინ რაშიდ ალ მაქტუმს შეხვდა.**

შეხვედრა დუბაიში, ზაბელის სასახლეში გაიმართა. არაბთა გაერთიანებული საემიროების პრემიერ-მინისტრმა ქართველ კოლეგას ვიზიტისთვის მადლობა გადაუხადა. მხარეებმა ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების იმედი გამოთქვეს.

შეხვედრას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, ვიცე-პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი და თანაინვესტირების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ბაჩიაშვილი დაესწრნენ.

პრემიერის განცხადებით, საქართველოს აბუ-დაბის სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენლობითი დელეგაცია ესტუმრება, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისა და აბუ-დაბის სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარე მოჰამედ თანი ალ რემეითის შეხვედრის შემდეგ გახდა ცნობილი.

დელეგაცია სავაჭრო-სამრწველო პალატის თავმჯდომარის მეთაურობით, აზიის განვითარების ბანკის მიერ ორგანიზებულ ფორუმს დაესწრება, რომელიც თბილისში 29 ოქტომბერს გაიმართება.

ირაკლი ღარიბაშვილმა მოჰამედ თანი ალ რემეითიმ შეხვედრაზე ასევე განიხილეს საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობები.

◉ აფხაზეთი – ტკივილი ჩვენი

# რადგანაც რისკი დიდია....

## აფხაზეთიდან სამეგრელოში გადმომსვლელი მოსწავლეების რაოდენობამ იკლო

**ოკუპირებული აფხაზეთიდან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე სასწავლებლად გადმომსვლელი მოზარდების რაოდენობა ყოველ წელს კლებულობს. ახალ სასწავლო წელს ადმინისტრაციული საზღვარი 31-მა მოსწავლემ გადმოკვეთა, მაშინ როცა გასულ წლებში მათი რაოდენობა 100-მდე მერყეობდა. როგორც ე.წ. მოსაზღვრე სოფლის სკოლების დირექტორები აცხადებენ, ეს გამოიწვია 2014 წლის დასაწყისში მიღებულმა აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის გადაწყვეტილებამ, რომლის თანახმადაც, მოსწავლეებს, მეექვსე კლასის ჩათვლით, ე.წ. სასაზღვრო ზოლის გავლა აეკრძალათ. მიზეზად დასახელდა ის, რომ განათლების მიღება აფხაზეთშიც არის შესაძლებელი და ამისთვის საზღვრის გადაკვეთა საჭირო არ არის.**



წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ფახულანის წყოუშის თემი ოკუპირებულ სოფელ საბერიოს ესაზღვრება. სოფლებს მავთულხლართები და ე.წ. სასაზღვრო გამშვები პუნქტი ყოფს. წყოუშის სკოლაში მოსაზღვრე საბერიოდან ადრე 60 მოზარდი მოდიოდა, ახლა კი 13 კვეთს პირობით საზღვარს. ახალი სასწავლო წლისთვის ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთა ყველა მათგანმა მოახერხა, თუმცა თანაკლასელებს გაკვეთილზე დაგვიანებით შეუერთდნენ. როგორც წყოუშის თემის სკოლის დირექტორი ვახტანგ გოგოხია აცხადებს, გამშვებ პუნქტთან მათი საბუთების გადამოწმებას გარკვეული დრო დასჭირდა. მისივე თქმით, მშობლებისა და მოსწავლეების ნაწილს აქვს მიზეზი, თუ რატომ არ სურთ აფხაზეთის სკოლებში სწავლა: **„იქ ქართული მარტო ორი საათი ისწავლება. ეს უფროსკლასელი ბავშვები ვერ მეტყველებენ რუსულად კარგად, გაუჭირდებათ სწავლა და ამიტომაც ასე გადაწყვიტა აფხაზეთის ხელისუფლებამ“.**

ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსული მოსწავლეების რაოდენობა შემცირდა ზუგდიდის სოფელ განმუხურის სკოლაშიც, თუმცა ისე მკვეთრად არა, როგორც წყოუშის საგანმანათლებლო დაწესებულებაში. შარშან აქ 18 ბავშვი გადმოდიოდა მოსაზღვრე სოფელ ოტობაიიდან, ფიჩორიდან და ნაკარღალიდან. წელს მათი რიცხვი ცამეტამდე შემცირდა.

**„ხომ იცით იქური მდგომარეობა და გადაიყვანეს ბავშვები იქეთ. აბა, რა უნდა ექნათ? ძალიან გართულებულია გადაადგილება და რისკის ფასად ხომ ვერ წამოვლენ?“,** — განუცხადა რადიო თავისუფლებას განმუხურის საჯარო სკოლის დირექტორმა ზურაბ ჯოლოგუამ.

გადაადგილებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული პრობლემები განმუხური-ოტობაიის პირობით საზღვართან მოსწავლეებს მარტში და აპრილში შეექმნათ. რუსმა მესაზღვრეებმა უფროსი კლასის მოსწავლეებს გადაადგილების უფლება მისცეს მხოლოდ სოფელ ოტობაიის გამშვები პუნქტით. ეს პირობითი საზღვარი კი სკოლიდან 6 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. ამიტომ აპრილის თვიდან მოზარდებს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, სახელმწიფო ტრანსპორტი ემსახურება. სკოლის დირექტორის განცხადებით, სწორედ ტრანსპორტის მომსახურებამ შეუნარჩუნა განმუხურის სკოლას ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსული 13 მოსწავლე. განმუხურისა და წყოუშის თემისგან განსხვავებით, ზუგდიდის სოფელ ხურჩაში მცხოვრები მოზარდები პირობით საზღვარს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოსახვედრად კვეთდნენ იმ მიზეზით, რომ ხურჩის მოსაზღვრე სოფელ ნაბაკევის სკოლა ახლოსაა. აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობამ შარშან მოსწავლეებს გადაადგილება აქაც აუკრძალა. მას შემდეგ ისინი ზუგდიდის სოფელ კოკის სკოლაში სწავლობენ, რომელიც ხურჩიდან 3 კილომეტრში მდებარეობს. მათაც სახელმწიფო ტრანსპორტი ემსახურება. კოკის სკოლის დირექტორის დალილა ჩიქავას განცხადებით, მშობლები და მოსწავლეები კოკის საგანმანათლებლო დაწესებულებით კმაყოფილნი არიან, თუმცა **„თავის სკოლაში ურჩევნიათ მოსწავლეებს. რომ ყოფილიყო გადასვლა თავისუფალი, მაშინ წაიყვანდნენ მშობლები. ახლა მათ უმძიმეს პირობებში უწევთ გადაადგილება. მხოლოდ ღამის საათებში ახერხებენ გადასვლას“.**

დალილა ჩიქავას განცხადებით, კოკის სკოლაში 17 ახალი მოსწავლეა. მათი ნაწილი ხურჩის მკვიდრია, ნაწილი კი ქართულ ენაზე განათლების მიღების მსურველი, ოკუპირებულ ნაბაკევში მცხოვრები.

**თამარ ზანთარაია**
**რადიო „თავისუფლება“**

◉ ენერგეტიკა

# საკმარისი იქნება ენგურის წყალი?

## ხუდონჰესი მთავრობის ორბიტაზე დაბრუნდა

**ხუდონჰესის მშენებლობის დაწყების ზუსტი თარიღი უახლოეს პერიოდში გახდება ცნობილი. ვინ ააშენებს გიგანტურ ჰიდროელექტროსადგურს, ეს ჯერ კიდევ გასარკვევია. კერძო ინვესტორი კვლავ აქტიურობს, ამ დროს დღის წესრიგიდან არ მოხსნილა მშენებლობის პროცესში სახელმწიფოს მონაწილეობის საკითხი. ეს იდეა ენერგეტიკის მინისტრს ეკუთვნის და ის ჯერ კიდევ ცოცხლობს.**

როგორც ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ განაცხადა, ინვესტორ კომპანია „ტრანს ელექტრიკასთან“ აქტიური მოლაპარაკება მიმდინარეობს. კონკრეტულ გადაწყვეტილებას სწორედ ამ მოლაპარაკების დასრულებისა და ჰიდროელექტროსადგურის გარემოზე ზემოქმედების შეფასების შემდეგ მიიღებენ. პროექტის განხორციელების მთავარ ფაქტორად მინისტრი სახლების გეგმის განხორციელებას მიიჩნევს.



**„უახლოეს მომავალში უკვე დეტალები იქნება ცნობილი. ჩვენ შევძლებთ, დავარწმუნოთ ადგილობრივი მოსახლეობა, რომ ამ პროექტის განხორციელება ქვეყნისთვის და მოსახლეობისათვის არის სტრატეგიულად პრინციპული და მნიშვნელოვანი“,** — განაცხადა ენერგეტიკის მინისტრმა.

ხუდონჰესის მშენებლობისათვის საჭირო მიწების რეგისტრაცია თითქმის დასრულებულია. კომპანია „ტრანსელექტრიკა ჯორჯიას“ ამ ეტაპზე უკვე რეგისტრირებული აქვს მიწის დაახლოებით 90% (1400 ჰექტარი), დარჩენილი 9%-ის რეგისტრაციასთან დაკავშირებით მთავრობასთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

დარჩენილი მიწების რეგისტრაციის შემდეგ კომპანია ეკონომიკის სამინისტროში მშენებლობის ნებართვის ასაღებად დოკუმენტაციას წარადგენს. ამ ეტაპზე მთავრობასთან მიდის პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით კონსულტაციები და მასზეა დამოკიდებული დარჩენილი 9 პროცენტის რეგისტრირებასთან დაკავშირებული ვადებიც.

ვინ ააშენებს ხუდონჰესს ეს ჯერ კიდევ ბოლომდე გარკვეული არ არის. რამდენიმე კვირის წინათ ენერგეტიკის მინისტრმა ახალი იდეა გააჟღერა — შესაძლოა, გიგანტური ჰიდროელექტროსადგურის აშენება საკუთარ თავზე სახელწიფომ აიღოს. კალაძის დეპუტატებთან ნათქვამი შემდეგ აღარავის განუვრცია, მაგრამ არც ის დაუდასტურებია ვინმეს, რომ ამ იდეამ ჩაილურის წყალი დალია.

ასე რომ, მშენებლობის პროცესში სახელმწიფოს მონაწილეობის საკითხი ჯერჯერობით დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. ადგილობრივი მოსახლეობისა და ეკოლოგებისთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იტვირთავს ხუდონის მშენებლობას, მთავარია, ყველა რისკი მინიმუმამდე იყოს დაყვანილი.მწვანეთა მოძრაობის თანათავმჯდომარე ნინო ჩხობაძე აცხადებს, რომ მნიშვნელობა არ აქვს თუ ვინ განახორციელებს პროექტს, მთავარია, გარემოზე ზემოქმედების ის ნორმები იყოს დაცული, რაც საჭიროა.

**„ვინც არ უნდა განახორციელოს პროექტი, ნებისმიერ შემთხვევაში, სახელმწიფოს ვალდებულებაა მოსახლეობის ინტერესი მაქსიმალურად გაითვალისწინოს“,** — აღნიშნა ნინო ჩხობაძემ.

მისი თქმით, ხუდონჰესის აშენების დროს, კარგად უნდა იყოს გათვალისწინებული გეოლოგია, წყლის, კლიმატის პრობლემები, რადგან, შესაძლოა, 10 წლის შემდეგ ხუდონჰესს ენგურის წყალი არ ეყოს.

**„გამორიცხული არ არის, წყლის ჩამონადენი შემცირდეს, მიდის ინტენსიური დნობა და ის, რომ დღეს ენგურს წყალი აქვს, არ ნიშნავს იმას, რომ 10 წლის შემდეგ იქ წყალი იქნება“,** — დასძენს ჩხობაძე.

**ბექა დანელია**

# როდემდე გაგრძელდება უნივერსიტეტის ტერიტორიების გასხვისება?



**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კუთვნილი ქონების გასხვისებამ და უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებთან შეუფერებელი და მიუღებელი საქმიანობის წამოწყებამ, სამწუხაროდ, ტრადიციული სახე მიიღო, — ამბობს თსუ-ს რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა.**

— ჩვენი პირველი მიმართვა მთავრობას და საზოგადოებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ინტეგრირებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ქონების გასხვისების შესაძლებლობას ეხებოდა, შემდეგ უნივერსიტეტის ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მომიჯნავედ არსებული მიწის ნაკვეთის გასხვისებაზე და ამ ტერიტორიაზე სასაფლაოს გაშენების პერსპექტივაზე გავაკეთეთ განცხადება. ამჯერად, როგორც ირკვევა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმდებარედ, სადაც ორი სასწავლო კორპუსის გარდა, განთავსებულია ბიბლიოთეკა და უახლოეს პერიოდში სტუდენტთა და მეცნიერთა სახლის აშენება იგეგმება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის თავმოყრის ადგილას გაზგასამართი სადგურის მშენებლობა დაიწყო. გარდა იმისა, რომ ეს გადაწყვეტილება პირდაპირ უკავშირდება ახალგაზრდების უსაფრთხოების ზომების უგულებელყოფას, აფერხებს საუნივერსიტეტო სივრცის განვითარების შესაძლო პროექტებს, ასევე იგნორირებულია უახლოეს წარსულში გამოცხადებული არაერთი საინტერესო ინიციატივა, მათ შორის, ახალგაზრდული ცენტრის, კვების ობიექტების მშენებლობაზე, რაც სტუდენტობისთვის განსაკუთრებულ საჭიროებას წარმოადგენდა. სამწუხაროდ, სამთავრობო სტრუქტურებმა ეს ინიციატივა შეცვალეს და დღეს უკვე გვაქვს ავტოტრანსპორტისთვის გაზგასამართი სადგურის მშენებლობის გადაწყვეტილება.

მივმართავთ საქართველოს მთავრობას, ქ. თბილისის საკრებულოს და დედაქალაქის მერიას, მაქსიმალურად გამოიყენონ მათ ხელთ არსებული, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილებები, რათა არ მოხდეს უნივერსიტეტის, საუნივერსიტეტო საზოგადოების, სტუდენტების ინტერესების უგულებელყოფა, — აცხადებს უნივერსიტეტის რექტორი.

კონფლიქტური სიტუაცია



# ჩაუვარდებათ ნაცებს კოვზი ნაცარში?

**მმართველი გუნდი პრეზიდენტის ოპოზიციაში წასვლას გამორიცხავს, ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი კი აცხადებს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ გიორგი მარგველაშვილს ეთამაშება, რომ როგორმე გუნდიდან ოპოზიციაში სოლიდური წევრი გადაიყვანოს და გუნდში განხეთქილება გამოიწვიოს.**

**გამართლდება თუ არა ივანიშვილის პროგნოზი, ამაზე კონკრეტული პასუხის გაცემა უმრავლესობაში უჭირთ, მაგრამ იმედს გამოთქვამენ, რომ პრეზიდენტს კეთილგონიერება ეყოფა, უგუნურ ნაბიჯს არ გადადგამს და ოპოზიციაში არ წავა.**

**ყოფილი პრემიერის შეფასებით, პარლამენტი, მთავრობა თუ პრემიერი ძალიან ცუდ სიტუაციაში არიან და ცდილობენ, რაც შეიძლება რბილი გამონათქვამები გამოიყენონ.**

**მისი თქმით, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები მარგველაშვილის მიმართ აშკარა მხარდაჭერას არ გამოხატავენ, რომ ფონი არ გააფუჭონ.**

**„ორი-სამი ადამიანი, თავს ექსპერტს რომ უწოდებს და რეალურად ელემენტარული ანალიზის უნარი არ აქვთ, მარგველაშვილს მიეტმასნენ. თითქოს პრეზიდენტის ინსტიტუტის გამაგრებას ცდილობენ, რეალურად კი ერთი სამსახურს ეძებს, მეორეს თავისი ადგილი ვერ უპოვია და მესამეს კიდევ რაღაც უნდა. ისინი მარგველაშვილს დათვურ სამსახურს უწევენ, ამბიციებს უღვივებენ და სასაცილო მდგომარეობაში ვარდება როგორც ქვეყანა, ასევე მარგველაშვილი. პირველ რიგში, ეს პრეზიდენტ მარგველაშვილის იმიჯს აზიანებს“,** — აცხადებს ივანიშვილი, რომლის შეფასებასაც მმართველ გუნდში გამოეხმაურენ.

როგორც for.ge-ს ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ განუცხადა, ოპოზიციაში გადასვლა კარგი არც პრეზიდენტისთვის იქნება და არც ქვეყნისთვის, რადგან, თუ რას ნიშნავდა ოპოზიციაში მყოფი პრეზიდენტი, ეს ქვეყანამ უკვე ნახა.

**„ეს უკვე ყველაფერი დავძლიეთ და საქმე აქამდე არ უნდა მივიდეს. ე.წ. კონკურენცია, რაზეც პრეზიდენტი საუბრობს, არ მგონია, ქვეყნისთვის სასარგებლო იყოს, რადგან მას კონსტიტუციით მთავრობასთან კონკურენტის ფუნქცია კი არ აქვს, არამედ არბიტრის. იმისთვის, რომ არბიტრის როლი შეასრულოს, თავადაც დაბალანსებული უნდა იყო და კონკურენციაში არ უნდა შედიოდე. ბატონი გიორგი უნდა დაფიქრდეს იმაზე, რაც ირგვლივ ისმის. ქვეყანას გარედან უყურებენ და თუ ის კინკლაობას გააგრძელებს, ქვეყანას დააზიანებს“,** — აღნიშნავს კობახიძე.

**„ოცნების“ დახურულ სხდომაზე გადაწყვიტეს, რომ პრეზიდენტთან ურთიერთობა „დალაგდეს“**

გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ცაგარეიშვილი კი მიიჩნევს, რომ მას მმართველ გუნდში ადამიანი არ ეგულება, რომელიც ხელისუფლებას უღალატებს და „ნაციონალურ მოძრაობაში“ გადავა.

**„ის, რომ ამას სააკაშვილი ცდილობს, ეს დამალული არ არის. სარფის საბაჟოზე ჩატარებული თათბირი და სხვის ბოსტანში ნასროლი კენჭები გაიხსენეთ. გუნდში საღად მოაზროვნე ადამიანი არ მეგულება, რომელიც ხელისუფლებას უღალატებს და „ნაციონალურ მოძრაობაში“ გადაბარგდება. ნაციონალები ცდას არ აკლებენ და გახსოვთ, სააკაშვილმა თქვა, თითქოს პრეზიდენტი და თავდაცვის მინისტრი იჩაგრება და ამაზე წუხს. ისემც მაგას რა ვუთხარი. მას „ოცნების“ გახლეჩვა უნდა და ოცნების ასრულება. ყოფილი პრემიერიც სწორედ ამაზე საუბრობს. არ მგონია, პრეზიდენტმა ასეთი უგნური ნაბიჯი გადადგას. მის კეთილგონიერებაში დარწმუნებული ვარ. ის გაიხსენებს, სააკაშვილის პერიოდში თუ როგორ ცხოვრობდა საქართველო“,** — აღნიშნავს ცაგარეიშვილი.

თანაპარტიელის მსგავსად, გუნდში არსებულ პროცესებს ჯანსაღ პროცესს უწოდებს ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ დოლიძე.

**„ერთი გუნდი ვართ, შეიძლება განსხვავებული დამოკიდებულებები არსებობდეს და ეს რამდენად სწორია, არ ვიცი, მაგრამ ჯანსაღი პროცესი ნამდვილად არის. მინდა, ვისურვო, რომ კოალიცია, პრეზიდენტის ჩათვლით, შეკრული იყოს. თუ განსხვავებული აზრების მიუხედავად, ინსტიტუციურად ერთმანეთს პატივი არ ვეცით, ეს სწორი არ იქნება“,** — დასძენს დოლიძე.

საგარეო ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ზვიად კვაჭანტირაძე კი ჩვენთან საუბარში ამბობს, რომ მმართველი გუნდი ემოციებს არ უნდა აჰყვეს. მისი თქმით, პრეზიდენტი გუნდის წევრია და ის გუნდის წევრად დარჩება.

**„მარგველაშვილი „ქართული ოცნების“ კანდიდატია, რომელმაც ბიძინა ივანიშვილის და კოალიციის უპრეცედენტო დახმარებით გამარჯვება მოიპოვა. პოლიტიკურ-მორალურ მოტივაციას ვერ ვხედავ იმისთვის, რომ საქართველოს პრეზიდენტი და ხელისუფლება ერთმანეთის ოპოზიციაში იყვნენ, ან ერთმანეთის კონკურენტებად განიხილებოდნენ. ჩვენი ოპონენტი არის ეკონომიკა, უმუშევრობა და სოციალური პრობლემები. შესაბამისად, ბრძოლა ერთად უნდა გავაგრძელოთ“,** — განუცხადა for.ge-ს კვაჭანტირაძემ.

თანაგუნდელების მსგავსად არც გია ვოლსკის სურს იმის დაჯერება, რომ პრეზიდენტი, შესაძლოა, ოპოზიციაში გადავიდეს.

**„არ ველოდები, რომ პრეზიდენტი ოპოზიციაში გადავა. იმდენად არ მინდა, რომ არ ველოდები, მაგრამ გიორგისაც არ აქვს ეს განწყობა. პოლიტიკურად შეცდომები აქვს დაშვებული, მაგრამ რა მოხდა?!“,** — დასძენს ვოლსკი.

აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის ურთიერთობაზე ისაუბრეს „ქართული ოცნების“ დახურულ სხდომაზე, რომელიც გუშინ პარტიის ოფისში გაიმართა. for.ge-ს ინფორმაციით, ირაკლი ღარიბაშვილი გუნდის წევრებს კონფლიქტის წამოწყების მიზეზებზე ესაუბრა და განაცხადა, რომ ის ურთიერთობის „დასალაგებად“გიორგი მარგველაშვილს პირისპირ შეხვდა.

წყაროს ცნობით, შეხვედრაზე ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ მარგველაშვილისთვის უთქვამს — **„შენს უფლებებს არ წაგართმევ, მაგრამ არც ჩემსას დაგითმობ“.**

**„პრემიერმა სამი მიზეზი დაასახელა, რის გამოც პრეზიდენტთან ვითარება დაეძაბა. როგორც ღარიბაშვილმა თქვა, პრეზიდენტმა მას მოსთხოვა, რომ მინისტრების დანიშვნა-გათავისუფლების პროცესში ისიც ჩართოს. ამას გარდა, პრემიერმა თქვა, რომ გაეროში თუ ვინ წავიდოდა, მისთვის გადამწყვეტი არ იყო, მაგრამ იმის გამო გაწყენდა, რომ პრეზიდენტმა მოწვევების თაობაზე საქმის კურსში საგარეო უწყება არ ჩააყენა. შეხვედრაზე შევთანხმდით, რომ კრიზისული ვითარებიდან გამოვიდეთ და პრეზიდენტთან ურთიერთობა დავალაგოთ“,** — განუცხადა უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა for.ge-ს, რომელმაც ასევე აღნიშნა, რომ შეხვედრაზე ღარიბაშვილს პარლამენტის თავმჯდომარე გამოეხმაურა, დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ რიგ მნიშვნელოვან საკითხზე მარგველაშვილთან სამსაათიანი შეხვედრა თავადაც ჰქონდა, რომელიც უშედეგოდ დასრულდა.

**თეონა მანაგაძე**

ალიანჩალიანი

## გაეროს სამდივნოს შეცდომა, მარგველაშვილის ჩაშლილი ვიზიტი და ურთიერთბრალდებები

**საგარეო** საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი იმ მიზეზს განმარტავს, რის გამოც პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გასაჯაროებულ, გაეროს გენერალური მდივნის 25 თებერვლით დათარიღებული წერილის ადრესატად პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილია მითითებული.

როგორც ზალკალიანმა განაცხადა, მათი მიმართვის საფუძველზე, გაერომ ახალ წერილში პრეზიდენტის სახელი და გვარი ჩაასწორა, თუმცა, თარიღი უცვლელი დატოვა.

„გაეროს მისიაში 25 თებერვლით დათარიღებული წერილი შესულია 14 მარტს. მინდა, გაჩვენოთ ეს წერილი, რომელიც ფოსტითაა მოსული გაეროს სამდივნოდან და გამოგზავნილია ყოფილი პრეზიდენტის სახელზე. მას ხელს აწერს გაეროს სამდივნოს წარმომადგენელი. იმის გამო, რომ წერილის ადრესატად მითითებული იყო მიხეილ სააკაშვილი, მისიამ გაეროს სამდივნოს წერილი მისწერა და სთხოვა, შეესწორებინა ეს შეცდომა. რამდენიმე თვის შემდეგ, მაისში მივიღეთ წერილის ახალი, კორექტირებული ვერსია პრეზიდენტ მარგველაშვილის სახელზე, მაგრამ მასში თარიღი არ იყო შეცვლილი, ამიტომაც მასზე ისევ 25 თებერვალია მითითებული“, — განაცხადა ზალკალიანმა.

საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის დავით ზალკალიანის განცხადებით, თუ რატომ ჩაიშალა ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის ვიზიტი, მისმა მრჩეველმა თენგიზ ფხალაძემ იცის და ამის შესახებ მას უნდა ჰკითხონ.

„ეს უპასუხისმგებლო განცხადებაა. ეს არის არაკომპეტენტურობის გამოვლინება პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მომუშავე ადამიანების, რომლებიც მის საგარეო ვიზიტზე მუშაობენ. არ შეიძლება ვიზიტის დაგეგმვა საგარეო საქმეთა სამინისტროს გვერდის ავლით. როდესაც მიდიხარ ამერიკის შეერთებულ შტატებში და ხელში გაქვს მხოლოდ ერთი შეხვედრა და ბოლოს იწყებ ზრუნვას, რითი დატვირთო დანარჩენი შეხვედრები, მიხვალ იმ შედეგებამდე, რაც მივიღეთ. როდესაც მსოფლიო ბანკთან და სავალუტო ფონდთან საგარეო საქმეთა სამინისტროს გვერდის ავლით, უფრო მეტიც, ფინანსთა სამინისტროს გვერდის ავლით, რომელიც მთავარი კომუნიკატორია საქართველოს, მსოფლიო ბანკსა და სავალუტო ფონდს შორის, მიდიხარ, იბარებ მის წარმომადგენელს საქართველოში, ეუბნები, რომ ვიზიტის ორგანიზებაში დამეხმარე - ეს არის არაკომპეტენტურობის გამოვლინება, რომელიც ჩვენს იმიჯს ძალიან დიდ ზიანს აყენებს“, — განაცხადა ზალკალიანმა.

მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო არ მუშაობდა პრეზიდენტის გაეროში ვიზიტზე, არამედ მუშაობდა პრემიერის ვიზიტზე და, აქედან გამომდინარე, საგარეო უწყება პრეზიდენტის ვიზიტს ვერ ჩაშლიდა.

პრეზიდენტის ადმინისტრაცია საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის დავით ზალკალიანის განცხადებას ეხმაურება და კატეგორიულად უარყოფს ინფორმაციას, რომ აშშ-ში გიორგი მარგველაშვილის ოფიციალური შეხვედრების დაგეგმვა ცალკეული უწყებების გვერდის ავლით ხდებოდა. როგორც ეკონომიკურ საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველმა გიორგი აბაშიშვილმა ჟურნალისტებს ზალკალიანის განცხადებაზე კომენტირებისას განუცხადა, ფინანსთა და სხვა შესაბამისი სამინისტროები როგორც მსოფლიო ბანკის პრეზიდენტთან, ისე საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველ დირექტორთან დაგეგმილი შეხვედრების შესახებ ინფორმირებული იყო.

## დაიწყება ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა

**ამის** შესახებ დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ თბილისის მთავრობის სხდომაზე განაცხადა. მისივე თქმით, ვიდრე სასწავლო პროცესი დაიწყებოდა, თბილისის მერიამ 3 000 ბავშვისთვის შესაძლო ფართების სწრაფად მოძიება და შეკეთება დაიწყო.

„ჩვენი პოლიტიკური ოპონენტების მიერ წართმეული საბავშვო ბაღი დავუბრუნეთ ბავშვებს ჩუღურეთის რაიონში. ჩვენ ამაზე არ შევჩერდებით, მთავრობის სხდომაზე 132-ე ბაგა-ბაღის დაფუძნებაზე თანხმობა უნდა მივცეთ ბაღების მართვის სააგენტოს“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

მისივე განცხადებით, გამოიყოფა დამატებითი დაფინანსება იმისთვის, რომ აქტიურად გაგრძელდეს მუშაობა აღნიშნული კუთხით.

## სოციალური და ჯანდაცვის კუთხით დაფინანსება არ შეფერხდება

— „**წინასაარჩევნოდ** ჩვენმა წინამორბედებმა ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ნაწილი, ბიუჯეტიდან ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების დაფინანსება პრაქტიკულად ამოწურეს. ობიექტური აუცილებლობის წინაშე დავდექით, რომ ბიუჯეტის სხვა მუხლებში არსებული ეკონომია გადმოგვეტანა ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ნაწილში, ასევე გაგვეზარდა ბინათმესაკუთრეთა დაფინანსება, რადგან წლის ბოლომდე აუცილებელი სერვისი მიგვეწოდებინა მოქალაქეებისთვის“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

მისივე განმარტებით, სოციალურ დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებები არ შეფერხდება.

## სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებს ერთჯერადი დახმარება გაეზრდებათ

**დავით ნარმანიას** თქმით, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახები მესამე შვილის შემთხვევაში ნაცვლად 400 ლარისა, 800 ლარს მიიღებენ, მეოთხე შვილის შემთხვევაში 800 ლარის ნაცვლად 1000 ლარს, მეხუთე და შემდგომი შვილის შემთხვევაში 1 000 ლარის ნაცვალდ 1 500 ლარს მიიღებენ.

მისივე თქმით, იმისთვის, რომ რაიონულმა გამგეობებმა შეძლონ სოციალური მომსახურების გაწევა, დამატებით 8 მილიონი ლარი გაითვალისწინეს ბიუჯეტიდან და ის გადანაწილდა რაიონულ გამგეობებში.

**ინტერპრესი**



**შემოდგომაზე ვიღაც არეულობისა და ქაოსის შექმნას გეგმავს. ამაზე საუბარი უგულავას ე.წ. წერილების გამოქვეყნებამდეც იყო და მას შემდეგაც, თუმცა საინტერესოა, რამდენად შორს მიდის მედიაში გამოქვეყნებული წერილების ავტორი და რამდენად დაემთხვევა გეგმები რეალობას. ფრაგმენტი ნაციონალების ე.წ. სამოქმედო გეგმიდან:**

**„ა) სტანდარტული: ვიგებთ 2016 წლის არჩევნებს.**

**ბ) ივანიშვილს უმხედრდებიან „ზაპადნიკები“, ირევა პოლიტიკური ლანდშაფტი და 2016-მდე დგება ახალი კოალიცია, ანუ ივანიშვილი ხელისუფლებას ჩამოშორდება. ეს ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლებაში მოდიხარ, ან მიდიხარ, ოღონდ 2016-ის მოგების მერე.**

**გ) ისე ირევა სიტუაცია, რომ ხდება ის, რაც უკრაინაში. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ვიღებთ ქუჩაში დაგდებულ ძალაუფლებას, ანუ რევოლუციური სცენარი“, — აღნიშნულია წერილში, რომლის ავტორიც მიიჩნევს, რომ პირველი ვარიანტი ნაკლებად რეალისტურია. უგულავა განმარტავს, თუ რას წარმოადგენს გეგმის ამოცანა. ამონარიდი „წერილიდან“:**

**„1) სრული აპოკალიფსის სურათის შექმნა. ა) ყოველდღე თუ არა, კვირაში სამჯერ სექტორული პატარ-პატარა აქციები. მაგალითად, სერგომ (სავარაუდოდ, საუბარია, სერგო რატიანზე) ჩაიბას უფლებააყრილი სტუდენტები. იყოს 20- კაციანი აქცია რეცეპტებზე. პატარა აქციებზე წამოიკიდებ ვინმეს, მაგალითად, სრულიად უსაგნო კოსტიუმების აქციაზე, წამოეკიდე ვიღაც კანცელარიის დაცვის უფროსი, რომლებსაც აქ ჩემი ექიმები ლანძღავდნენ სამი დღე. დიახ, უნდა ვიყოთ პროვოკაციულები და ყოველი ფეხის ნაბიჯზე უნდა იყოს ჯოჯოხეთი“, — აღნიშნულია წერილში.**

**ვისთვის არის მომგებიანი ამ გეგმის გახმაურება, რას მიიღებს ხელისუფლება, რას — ნაციონალური მოძრაობა, ამ თემაზე ექსპერტი, ხათუნა ლაგაზიძე გვესაუბრება.**

# „ნებისმიერი რევოლუციური სცენარი საზოგადოებას ხელისუფლების გარშემო შეკრებს“

**— ვიდრე სამოქმედო გეგმის განხილვაზე გადავიდოდეთ, რამდენად შეიძლება ავთენტური იყოს წერილი, რადგან მოგვიანებით უგულავას განმარტება გავრცელდა, რომლის თანახმადაც მას მსგავსი არაფერი დაუწერია და შემოგდებულია ბიძინა ივანიშვილისგან — რა ტიპის ეჭვები ჩნდება?..**

— ამ წერილის შემქმნელი, როგორც ჩანს, ძალიან ჭკვიანია, იმის მიუხედავად, ვინ არის ავტორი. ერთობლიობაში შეიძლება განვიხილოთ ე.წ. უგულავას წერილების ორივე ვერსია, ასევე გაზეთში გამოქვეყნებული სტატია — „მიხეილ სააკაშვილის არასამთავრობო ორგანიზაციების საიდუმლო შეხვედრები და სამოქმედო გეგმა“ და შს მინისტრის ინტერვიუ, რომელიც ამ წერილების გამოძახილია... ეს ყველაფერი რამდენიმე ვერსიის განხილვის საშუალებას იძლევა — თუ ეს წერილები ავთენტურია, მაშინ აფერუმ პოლიციას, რადგან მან მოახერხა და მოახდინა ფაქტობრივად, დანაშაულის პრევენცია, რაც საკმაოდ დადებითი ფორმაა ასეთი ტიპის დანაშაულთან ბრძოლისა — პოლიცია წინმსწრებად ცდილობს ამა თუ იმ დანაშაულის აღკვეთას და დანაშაულში მონაწილე პოტენციურ პირებსაც აზღვევს შესაძლო დანაშაულისგან. ეს ერთმნიშვნელოვნად ჰუმანური აქტია, თუ ვემხრობით ვერსიას, რომ ეს ყველაფერი არის მართალი — პოლიციამ ამ სახით გააკეთა პრევენცია — არ დაელოდა მოვლენათა განვითარებას, ჩიხში არ შეიყვანა პოლიტიკური პროცესი და შემდეგ არ დაიწყო მასში მონაწილე ადამიანების ნეიტრალიზაცია.

მეორე ვერსიად შეიძლება განვიხილოთ ამ ვერსიის პოლარული უკიდურესობა, რომ გამოქვეყნებული გეგმა არ შეესაბამება სინამდვილეს, ანუ ხელისუფლების მიერ არის დადგმული, პლუს ხელისუფლების მხრიდან ასეთი ინტერვიუც შეიძლება ემსახურებოდეს რამდენიმე მიზანს — გამწვავებული კრიმინოგენური ვითარების გადაფარვას. მაგალითად, კრიმინოგენური ფაქტების გახშირება ხელისუფლებამ შეიძლება მიაწეროს არა რეალურად კრიმინალის გაზრდას, არამედ იმას, რომ რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაცია მიზანმიმართულად ცდილობს ასეთი ფაქტების წამოწევას. ამ წერილებშიც სწორედ ასეთ გეგმაზეა საუბარი, რომ ყველა დესტრუქციული ფაქტი, რაც ხდება საზოგადოებაში, ამოწიოს ნაციონალურ მოძრაობასთან ასოცირებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მასზე გააკეთოს აქცენტირება, რათა ხალხში შექმნას აპოკალიფსისა და ქაოსის განცდა.

თუ ხელისუფლებაა ავტორი, იმასაც ემსახურება, რომ სიტუაციის დაძაბვაზე ხელი შეაწმინდოს კონკრეტულად ნაციონალურ მოძრაობას — ანუ სიტუაცია არის ჩვეულებრივი, რუტინული, მაგრამ რაღაც ძალა სპეციალურად ცდილობს ქაოსის შექმნას, რათა ამით ხელისუფლების უსუსურობას გაუსვას ხაზი.

კიდევ ერთი შედეგი, რაც შეიძლება მოჰყვეს ამ წერილების გამოქვეყნებას, თუ მისი ავტორი ხელისუფლებაა, არის იმ ადამიანთა წრის გაფართოება, ვის მიმართაც სისხლის სამართლებრივი დევნა უნდა დაიწყოს. რადგან, თუ სადღაც ასეთი აპოკალიფსური გეგმები იდება, მაშინ ხელისუფლებამ ეს პოლიტიკური დევნის მიზეზადაც შეიძლება გამოიყენოს.

ეს არის უკიდურესი ვერსიები.

თუმცა, ვფიქრობ, რომ რაღაც შუალედურის განხილვა უფრო ღირს. რომელიმე ვერსიის მტკიცება ჩემი მხრიდან შეუძლებელია, უბრალოდ, ყველა შესაძლო ვარიანტს განვიხილავ.

როდესაც ინფორმაცია გავრცელდა და წერილების ავტორობა გიგი უგულავას მიეწერა, თავის მხრივ, უგულავამ უარყო მისი ავტორობა და ხელისუფლებას დასდო ბრალი - ამ შემთხვევაში არბიტრად ნამდვილად ვერ გამოვდგები და მხოლოდ იმ მოტივაციაზე შემიძლია საუბარი, რომელიც ერთ ან მეორე ვერსიას შეიძლება ჰქონდეს.

**— ანუ რეალობასთან ახლოს მყოფი შუალედური ვერსია რა შეიძლება იყოს?**

— მესამე, შუალედური ვერსია უფრო რეალურად მიმაჩნია და ამისი საფუძველი იმ წერილების ანალიზმა მომცა, რომელიც არასამთავრობოების სავარაუდო მოქმედების გეგმას ეხება. ალბათ, გარკვეული სამოქმედო გეგმა ნაციონალურ მოძრაობას ისევე, როგორც მის მხარდამჭერ ორგანიზაციებს ექნებათ თავიანთი პოლიტიკური ძალის რეინკარნაციისა და მინიმუმ იმისათვის, რომ ნაციონალური მოძრაობა , როგორც პოლიტიკური ძალა არ ჩაირეცხოს ქართული რეალობიდან, ხოლო მაქსიმუმი ამ მიზნისა იქნება, რომ ხელისუფლება შესუსტდეს და მის მიმართ გაზრდილი უკმაყოფილებით ბონუსები ნაციონალურმა მოძრაობამ მიიღოს — ასეთი მიზანი ნაციონალურ მოძრაობას ისევე, როგორც ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას, რა თქმა უნდა, ექნება, რადგან ნებისმიერი ოპოზიციური ძალისთვის ყოველთვის ბონუსია ხელისუფლების შეცდომები — საკუთარ რეიტინგს და ამომრჩევლების მხარდაჭერას კრეფს ხელისუფლების შეცდომების შედეგად, თორემ ხელისუფლება რაც მეტად წარმატებულია, ოპოზიციას მით უფრო ნაკლები შანსი აქვს ხელისუფლებაში მოსვლის.

ფაქტიკურად ამაში გასაკვირი არაფერია, როდესაც ოპოზიცია ცდილობს, ხელისუფლების შეცდომებით ისარგებლოს. ხელწერაც ნაცნობია, რომ დაგეგმილია აქტივისტების გაქტიურება და ა.შ. (განსაკუთრებით ის ნაწილი იყო დეტალურად გაწერილი, რომელიც არასამთავრობოებს ეხება — ერთის ფუნქციაა სოციალური თემების წინ წამოწევა, მეორესი — თვითმმართველობებში არსებული სიტუაციების შესწავლა) — ანუ, დადოს ხელისუფლების შეცდომების ფაქტობრივი და სტატისტიკური მასალა და ამ გზით გამოიწვიოს საზოგადოებაში უკმაყოფილება.

**— დაახლოებით მსგავსი სცენარი მოქმედებდა შევარდნაძის ხელისუფლების წინააღმდეგაც, სადაც წამყვან როლს სწორედ არასამთავრობოები ასრულებდნენ... წერილში საუბარია რევოლუციის გზით მოსვლაზეც, ანუ შესაძლოა იგივე სცენარის განმეორება იგეგმებოდეს? წერილში საუბარია ქუჩაში დაგდებული ძალაუფლების ხელში აღებაზე...**

— ამ წერილებს ვერ დავეყრდნობი — მე მოვიყვანე ის მაგალითი, რომელიც ყველაზე მეტად რეალისტურია, გამომდინარე იქიდან, რომ მონიტორინგს არასამთავრობო ორგანიზაციები მაინც ახორციელებენ. რა თქმა უნდა, აბსოლუტურად გეთანხმებით იმაში, რომ ეს ძალიან ჰგავს ნაციონალურ მოძრაობასთან ასოცირებული არასამთავრობოების ტაქტიკას, შევარდნაძის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისას. მაგრამ, თავისთავად იმის მტკიცება, რომ ეს რევოლუციურ პროცესებს გამოიწვევს, შეუძლებელია.

თუმცა, უდავოა, რომ აშკარად გამოიწვევს ხელისუფლების იმიჯის შერყევას და შესუსტებას. მიიღებს რევოლუციურ განვითარებას თუ ყველაფერი კანონის ფარგლებში მოხდება, ამ თემაზე საუბარი დღეს ძალიან ძნელია და არასერიოზული. რევოლუციურ განვითარებას, გარდა ხალხის უკმაყოფილებისა, პოლიტიკური ძალა სჭირდება, რომელსაც ხალხი მხარს უჭერს. დღეს საქართველოში ასეთი პოლიტიკური ძალა უბრალოდ, არ არსებობს. ამიტომ გამოვრიცხავ პროცესების რევოლუციურ განვითარებას. **ხალხმა თუ დაინახა, ნაციონალები ბრუნდებიან ხელისუფლებაში, ის ისე შეიკვრება დღევანდელი ხელისუფლების გარშემო, როგორც 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნების პერიოდში — ამიტომაც მოვლენების რევოლუციურ განვითარებაზე საუბარი არასერიოზულია.**

> **ხალხმა თუ დაინახა, ნაციონალები ბრუნდებიან ხელისუფლებაში, ის ისე შეიკვრება დღევანდელი ხელისუფლების გარშემო, როგორც 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნების პერიოდში — ამიტომაც მოვლენების რევოლუციურ განვითარებაზე საუბარი არასერიოზულია.**

თუმცა, ვინც არ უნდა იყოს წერილების ავტორი, გადასარევად ერკვევა საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობაში, არაჩვეულებრივად იცნობს ნაციონალების საგარეო პოლიტიკურ ხედვებს, უჯრედოვან დონეზე გრძნობს ნაციონალების აზროვნების სტილს, მათ მიერ მიზნის დასახვის და ამ მიზნამდე მისასვლელი გზების დაგეგმვის სპეციფიკას, მათ ხედვებს, მიზნის მიღწევის თვალსაზრისით და ა.შ. არა მხოლოდ ნაციონალებს, დღევანდელ ქართულ პოლიტიკას იცნობს არაჩვეულებრივად და ამიტომაც მივწერე ეს წერილები გიგი უგულავას. ვინც არ უნდა იყოს ავტორი, ის კარგი ფსიქოლოგია, კარგად იცნობს ქართულ პოლიტიკურ რეალობას და აქვს კონკრეტული მიზანი.

**— ეს რა მიზანი შეიძლება იყოს, გარდა დანაშაულის პრევენციისა, რაზედაც უკვე ვისაუბრეთ?**

— ყველაზე ცუდი შედეგის თვალსაზრისით არის ის, რომ იმდენად დეტალურად არის გაწერილი ნაციონალური მოძრაობის გეგმა სხვადასხვა მიმართულებით, არ არის დატოვებული არც ერთი სფერო. მაგალითად, საუბარია ჯგუფზე, რომელიც საარჩევნო რეფორმას მოითხოვს დ ა.შ. ყველაზე დიდი საშიშროება ის არის, თუკი ნაციონალურ მოძრაობასთან საერთოდ რომ არ ასოცირდება, ისეთი პოლიტიკური ძალები ან არასამთავრობო ორგანიზაციები გამოვლენ მსგავსი ინიციატივებით, ისინიც ასოცირებული იქნებიან ნაცმოძრაობასთან.

**— გამოდის, რომ მოგებული რჩება ხელისუფლება და არა ნაციონალური მოძრაობა, იმის მიუხედავად, ვინც არ უნდა იყოს ამ წერილების ავტორი?**

— ყველა შემთხვევაში. შესაძლოა, არსებობს რაღაც გეგმა, რომელიც ახლოსაა რეალობასთან და სულაც არ იყოს რევოლუციური გეგმის ნაწილი — საზოგადოებაში ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილების გაზრდის გეგმა ნამდვილად არსებობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კანონის ფარგლებიდან გადიან ეს ადამიანები და მაინცდამაინც რევოლუციასა და სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავენ.

შესაძლოა, ამ რეალურ გეგმაზე, რომელზეც გაზეთშიც იყო საუბარი, შემდეგ მავანმა დააშენა ვიღაცისთვის ხელსაყრელი და მისაღები ვერსიები და ეს ვიღაც შეიძლება იყოს ხელისუფლება, თუმცა, ამის მტკიცება ძალიან გამიჭირდება. მხოლოდ ვერსიებზე შემიძლია ვისაუბრო, რადგან არა მხოლოდ მედიიდან, ინფორმაცია ყველას მისდის, რომ სიტუაციის გამწვავება მართლაც იგეგმება შემოდგომაზე, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ, რევოლუციურ სცენარს გამოვრიცხავ.

**— თუმცა, საუბარია, რომ უნდა განმეორდეს ის, რაც მოხდა უკრაინაში და ა.შ...**

— ამ დღეებში გამოქვეყნდა ძალიან სამწუხარო რამ თავისი არსით, რომ **დასავლეთმა ფაქტობრივად, აიძულა უკრაინა, წელიწადნახევრით გადაედო ასოციირების ხელშეკრულების იმპლემენტაცია რუსეთის მოთხოვნით. რეალურად გამოდის, რომ დასავლეთმა უკრაინა გაწირა და რუსეთს მიჰყიდა — დროებით მაინც.** ასეთ პირობებში საუბარი იმაზე, რომ ვინმეს საქართველოში აწყობდეს მეორე ფრონტის გახსნა რუსეთისთვის, ეს უბრალოდ გამორიცხულია. იმის დაბრალებაც ნაციონალებზე, რომ მეორე ფრონტის გასახსნელად ემზადებიან, არარეალურია და საერთოდ ვარდება მიმდინარე საერთაშორისო პოლიტიკური კონტექსტიდან. ნაციონალურ მოძრაობას რაც ცალსახად არ აწყობს, ეს არის — არ დაკარგოს დასავლეთის მხარდაჭერა, რაც მისი ერთადერთი რეალური ბონუსია.

**— დავუშვათ, ეს არის ნაციონალების რეალური სამოქმედო გეგმა, მაქსიმუმ რისი მიღწევა შეუძლიათ?**

— კიდევ ვამბობ, საუბრები იმაზე, რომ შემოდგომაზე გარკვეული აქციები დაიწყება, ყოველგვარი წერილებისა და გაზეთში გამოქვეყნებული გეგმების გარეშეც არის. ე.წ. უგულავას ერთ-ერთ ე.წ. წერილში საუბარია იმაზეც, რომ **ეს იქნება ხელისუფლებით უკმაყოფილების გაზრდის პირველი ტალღა, ანუ პირველ ეტაპზე მიზანი სწორედ ეს იქნება. მაგრამ, ამ ეტაპზე გამორიცხულია რევოლუციური სცენარი, რადგან მსგავსი რამ საზოგადოებას ხელისუფლების გარშემო შეკრებს. ნაციონალურ მოძრაობას კი ყველაზე ნაკლებად ეს აწყობს, ამიტომაც ვფიქრობ, რომ ნაციონალების ავტორობით რევოლუციურ სცენარზე დღეს საუბარი გამორიცხულია.** საზოგადოების უკმაყოფილების დაფიქსირება, ან თუნდაც მობილიზება, თავისთავად, არ ნიშნავს რევოლუციურ სცენარს.

**ლალი ზირაქიშვილი**

# მილიონი სახელმძღვანელო მაკულატურად გადაიქცევა?!

**უმადური უნდა იყო ადამიანი, ვერ დაინახო ის სიკეთე, რაც ახალმა ხელისუფლებამ მოსვლისთანავე განახორციელა — უკვე მეორედ ყველა საჯარო სკოლის თითოეული მოსწავლე სახელმძღვანელოებს უფასოდ იღებს! მაგრამ შეიძლებოდა თუ არა ამ მეტად საშური პროექტის ისე განხორციელება, რომ საგამომცემლო ბიზნესს ზარალი არ მისდგომოდა, ან რა სარგებელს იღებს ბიუჯეტი იმით, რომ უკვე დაბეჭდილ და სასწავლოდ გამზადებულ მილიონ წიგნს ასაწყობებს, ამის პარალელურად კი ახალს ბეჭდავს? რა კაბალურ პირობებში არის გამომცემლობები და რატომ ზარალობს ბიუჯეტი მილიონობით ლარით, — ამის შესახებ გვესაუბრება გამომცემლობა „ინტელექტის“ დირექტორი კახმეგ კუდავა.**

**რად წაართვეს წიგნი ავტორსა და გამომცემელს?**



## ბიუჯეტისთვის მილიონი ლარი ცოტაა?!

**— ბატონო კახმეგ, მართალია, ამ თემაზე საუბარი ამ სასწავლო წლისთვის უკვე დაგვიანებულია, მაგრამ ვფიქრობ, საზოგადოებისთვის საინტერესო იქნება ის მონაცემები, რაც თქვენ ხელთა გაქვთ... რაზე მეტყველებენ ეს ციფრები?**

— როგორც იცით, განათლების სამინისტრომ ყოველგვარი ტენდერის გამოცხადების გარეშე ექსკლუზიურად მიანიჭა უფლება „გაერთიანებულ ქართულ სტამბას“, დაბეჭდოს საჯარო სკოლებისთვის საჭირო ყველა სახელმძღვანელო. ამ დროს ქართველ გამომცემლებს მეორე წელია დაბეჭდილი აქვთ სახელმძღვანელოები, რომელთა გამოყენება თავისუფლად შეიძლებოდა...

უფრო მეტი სიცხადისთვის მოგიყვანთ ციფრებს და თავად განსაჯეთ. მაგალითად, განათლების სამინისტრომ დასაბეჭდად შეუკვეთა 16 700 პირველი კლასის მათემატიკის სახელმძღვანელო. თითო ეგზემპლარის ფასი უნდა იყოს 3 ლარი და 39 თეთრი. გამომცემლობა „ინტელექტს“ უკვე გამოცემული აქვს ეს სახელმძღვანელო და საწყობში გვიდევს 6700 ცალი. ის ჩვენ შევთავაზეთ 2 ლარად და 39 თეთრად. ანუ განსხვავება ერთი ლარია. ბიუჯეტიდან კი დაიზოგებოდა 6 ათას 700 ლარი. XII კლასის მათემატიკა, რომელიც 9 500 ცალია საჭირო, უნდა დაჯდეს 6 ლარი და 12 თეთრი. ჩვენ შევთავაზეთ ამ რაოდენობის სრულად დაკმაყოფილება. თანაც თითო ეგზემპლარი — 3 ლარად ანუ ნახევარ ფასად. ამით კი დაიზოგებოდა 29 ათას 621 ლარი... მოკლედ, ჩვენ გავაკეთეთ ნუსხა იმ წიგნებისა, რომლებიც გამოცემული გვაქვს და რომელთა საჭიროებაც ამჟამად არის. მარტო „ინტელექტის“ შეთავაზება რომ გამოეყენებინა სამინისტროს, 203 ათას ლარზე მეტს დაზოგავდა...

**— მსგავსი ფასდაკლება შესთავაზეს სხვა გამომცემლობებმა?**

— რა თქმა უნდა. განათლების სამინისტრო ამ პირობებს რომ დასთანხმებოდა, მილიონი ლარით მოგებული დარჩებოდა სახელმწიფო ბიუჯეტი. ამ თანხით კი სულ ცოტა სამი სკოლის რეაბილიტაცია იქნებოდა შესაძლებელი.

**— „რატომღაც“ ეს შეთანხმება ვერ შედგა...**

— სამინისტროს ამის მიზეზად მოჰყავს ის, რომ თითქოს ჩვენ დავაგვიანეთ მათთან კომუნიკაცია. ამ დროს საქმე პირიქითაა — მათ არ ისურვეს ჩვენთან ურთიერთობა. მეტსაც გეტყვით, სამინისტროს წარმომადგენლები ფასთა მოკვლევას აწარმოებდნენ თურქეთისა და ჩინეთის სტამბებთან (!), მაშინ როცა თბილისში, გამომცემელთა საწყობებში 1 მილიონი გამზადებული სახელმძღვანელო აწყვია!

## სახელმწიფოს დაკვეთის ხარჯზე გამომცემლობების ჩამოყალიბება არასწორიაო(!)

**— თამარ სანიკიძემ გარკვევით განაცხადა: ის, რომ გამომცემლობა ყალიბდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო დაკვეთის ხარჯზე, ეს დასაწყისშივე ძალიან არასწორიაო. თქვენ რას უპასუხებდით, ბატონო კახმეგ?**

— რატომ სახელმწიფოს დაკვეთის ხარჯზე?! ჩვენ სახელმწიფოსგან ერთი ლარის დოტაცია არასოდეს არ მიგვიღია. 20 წელიწადია, განათლების რეფორმაში ვიღებთ აქტიურ მონაწილეობას სასკოლო სახელმძღვანელობის მომზადებისა და გამოცემის კუთხით. თავის დროზე, თავად განათლების სამინისტრომ მოგვიწვია. გვთავაზობდნენ, შემოდით ამ ბიზნესშიო, რადგან უზარმაზარი თანხა იდებოდა კერძო სექტორიდან. მაგალითად, როცა რომელიმე სახელმძღვანელო აპრობაციას გადიოდა დაახლოებით 100 ან მეტ სკოლაში, გამომცემლობა საკუთარი ხარჯით ბეჭდავდა ამ წიგნებს. ეს კი უზარმაზარი თანხა ჯდებოდა.

**— რა იყო თქვენი მოტივაცია?**

— ის, რომ თუკი 10 სახელმძღვანელოდან ნახევარი მაინც გაივლიდა პილოტირებას, მომდევნო 5-6 წლით გვეძლეოდა გრიფი. ხოლო გაწეულ ხარჯებს 6 წლის შემოსავალი თავისუფლად აიტანდა...

**— განათლების ყოფილმა მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა ერთმნიშვნელოვნად თქვა, რომ ნახევარ მილიონამდე ბავშვის მომადლიერება ჩემთვის ოციოდე გამომცემლის ინტერესებზე მაღლა დგასო. როგორი წინაპირობა ჰქონდა ამ პროექტის დაწყებას და იყვნენ თუ არა სამინისტროში ინფორმირებულნი იმის შესახებ, რომ გამომცემლობები დაზარალდებოდით?**

— მოვლენებს თავისი სახელი უნდა დავარქვათ: ეს იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება! მართლაც, განათლების მინისტრი პრეზიდენტი გახდა. ამასთან ერთად, ჩვენ წინააღმდეგ ამუშავდა პროპაგანდისტული მანქანა, რომელმაც ქართული გამომცემლობების დისკრედიტაცია დაისახა მიზნად. ადგნენ და თვითნებურად დაიწყეს წიგნების ბეჭდვა.

**— რომელი წიგნების, რომლებიც გამომცემლობებმა მოამზადეთ?**

— რა თქმა უნდა. იმ წიგნებისა, რომლებიც ჩვენ მოვამზადეთ. ამ ქმედებით დაირღვა როგორც გამომცემელთა, ასევე ავტორთა უფლებები, რომელიც კონსტიტუციით არის გარანტირებული. ანუ საუბარია ინტელექტუალური საკუთრების ხელშეუხებლობასა და საკუთრების უფლების დარღვევაზე.

## დავა სასამართლოში, რომელიც... არ მთავრდება

**— ბატონო კახმეგ, „ინტელექტთან“ ერთად სხვა გამომცემლობებიც უჩივიან განათლების სამინისტროს. რას ითხოვთ და რატომ?**

— მე ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ: არც ერთ გამომცემელს არასდროს უთქვამს, რომ უფასო სახელმძღვანელოები არ დაარიგონ, მაგრამ ვინც მოსწავლეს ჩვენ მიერ მომზადებულ სახელმძღვანელოებს უფასოდ აძლევს, მან ჩვენ თანხა აუცილებლად უნდა გადაგვიხადოს.

**— რა თანხაზეა საუბარი?**

— ჩვენ მოვიწვიეთ საერთაშორისო აუდიტორები. მათ ზარალი ორ ნაწილად გაყვეს. უკვე დამდგარი და მოსალოდნელი ზარალი. თანხა მხოლოდ ოთხი გამომცემლობისთვის 15 მილიონ ლარს შეადგენს.

სამწუხაროდ, სასამართლო პროცესები ჭიანურდება. ველოდებით საბოლოო ვერდიქტს, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. ეს იქნება ერთგვარი ტესტი დღევანდელი ხელისუფლებისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, სტრასბურგში გავასაჩივრებთ. იქ კი ამ საქმეს პირწმინდად მოვიგებთ, ამაში ეჭვი არ მეპარება.

**— რამ მისცა ბიძგი განათლების სამინისტროს, ასე ხელაღებით, გამომცემლობებისთვის გვერდის ავლით, თვითონ დაეწყო იმ სახელმძღვანელოების ბეჭდვა, რომელსაც თქვენ შეალიეთ დრო, ენერგია, ადამიანური რესურსი, რაც მთავარია, ინტელექტი და ფული?**

— ეს იყო ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტი, რომელიც ჯერ კიდევ შაშკინის მინისტრობის დროს გაფორმდა. ამ მუხლის თანახმად, განათლების სამინისტროს შეეძლო, დაებეჭდა ჩვენს მიერ მომზადებული სახელმძღვანელო იმ შემთხვევაში, თუკი გამომცემლობა უარს იტყოდა წიგნის გამოცემაზე, ან შეიქმნებოდა დეფიციტი.

**— ასეთი ფორსმაჟორი არ ყოფილა?**

— რა თქმა უნდა, არა. წარმოიდგინეთ, რომ საკონკურსოდ ნახევარ მილიონამდე ლარი დაგვიჯდა სახელმძღვანელოების მომზადება. ჩავაბარეთ კომპაქტური დისკები ე. წ. „ოქროს დისკები“. მეგონა, რომ პროექტს 6 წელი მაინც არაფერი ემუქრებოდა და წიგნები წინასწარ დავბეჭდე. შევიძინე 100 ტონა ქაღალდი სახელმძღვანელოების გამოსაცემად... ათეულობით ადამიანი იყო დასაქმებული და ჩართული ამ პროცესში. მათი უმეტესობის ხელფასები ჯერაც გაუსტუმრებელია...

სწორედ ამიტომ, ვითხოვთ ყველა იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს, ვინც ასე გაუაზრებლად და ნაჩქარევად მიიღო გადაწყვეტილება. მათ შორის პრეზიდენტ მარგველაშვილისაც.

**— უსასამართლოდ შეიძლება თუ არა ამ პროცესის გამოსწორება?**

— ცხადია, შეიძლება. როცა ქართველ გამომცემელთა საწყობები სავსეა სახელმძღვანელოებით, რომელთაც ძალიან იაფად ვთავაზობთ სახელმწიფოს, მაგრამ ის ამაზე უარს ამბობს, ჩვენ რა უნდა ვიფიქროთ, თუ არა ის, რომ განათლების სამინისტროს მიერ ხელდასხმულ მონოპოლისტ სტამბებს უქმნიან სასათბურე პირობებს...

მეტსაც გეტყვით, ამას სახელმწიფო ბიუჯეტი ვერ გაუძლებს. ყოველწლიურად 10-15 მილიონი ლარი გაედინება ამ მიმართულებით, რაც თავისთავად შემაშფოთებელი ციფრია.

გაისად გრიფირების ახალი სისტემა შემოდის. I-IV კლასებისათვის ახალი სახელმძღვანელოები უნდა შეიქმნას. ანუ, დასაწყობებული წიგნების მესამედი მაკულატურას უნდა ჩავაბაროთ. გამომცემლობათა საწყობებში კი მილიონზე მეტი სახელმძღვანელო აწყვია. ვინმეს შეუძლია ახსნას განათლების სამინისტროს მოქმედების ლოგიკა?! რატომ აკეთებს ამას, რატომ ფლანგავს უაზროდ მილიონებს, ან რატომ აკოტრებს გამომცემლობებს მიზანმიმართულად?! ჩემთვის მათი პრინციპები, გაუგებარია.

**ესაუბრა
თეა მოსია**

---

**◎ იუბილარი**



## ნიკოლოზ ცხაკაია – კაცი, რომელსაც უკან მოხედვა სიამაყით ავსებს...

**ნიკოლოზ ცხაკაია, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი იყო თბილისის საავიაციო ქარხნის პარტკომი, საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი, საწარმოო გაერთიანება „სამთო ქიმიის“ გენერალური დირექტორი., ამჟამად ხელმძღვანელობს გაერთიანებას „ახალი მასალები და ტექნოლოგიები“. ლამის მთელი ცხოვრება ცდილობდა, პარტიულ „ნიღაბს“ მორგებულს ეკეთებინა საქვეყნო საქმე. 30 წელიწადი ქვეყნის სამთო-ქიმიურ მრეწველობას ხელმძღვანელობდა და დღეს მტკივნეულად განიცდის ერთ დროს წამყვანი დარგის სანაგვეზე მოსროლას.**

ნიკოლოზ ცხაკაია იუბილარია! 22 სექტემბერს 85 წლის ხდება. ახლაც დროის უმეტეს ნაწილს სამსახურში ატარებს. ახალგაზრდული ენერგიით აღსავსეა. **„ხანდახან ვფიქრობ, უნდა გაიხედო თუ არა წარსულისკენ. დიახ, უნდა გაიხედო, რათა მაქსიმალურად გამოიყენო განვლილი გზა ისევ და ისევ შენი ქვეყნის მომავლის ასაშენებლად“,** — ამბობს ღვაწლმოსილი მრეწველი, შვილებით, შვილიშვილებითა და შვილთაშვილებით მდიდარი იუბილარი და გული კვლავ საქვეყნო საქმისკენ მიუწევს.

დღეს ევროპის საერთაშორისო ოქროს ვარსკვლავის მფლობელი ქართული კომპანია, რომელსაც ისევ ბატონი ნიკა უდგას სათავეში, მდინარე ყვირილას „გათეთრების“ უფლებას ითხოვს!.. იმ ცეოლითებით, რომლითაც ატომური ავარიის შემდეგ წმენდდნენ ჩერნობილში ნიადაგსა და წყალს რადიაქტიური ელემენტებისგან.

ხან ერთი მთავრობის ჩინოვნიკებს უხსნის ამა თუ იმ მოსაზრებისა თუ იდეის მნიშვნელობასა და დარგის აღორძინების აუცილებლობას, ხან მეორისა... მოუსმენენ, ყურადღებითაც კი, დაჰპირდებიან, დღეს თუ არა ხვალ მივხედავთ ქვეყნის სამთოქიმიურ მრეწველობასო და...

— მეც და სამთოქიმიელებსაც გვინდა ვირწმუნოთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ცეოლითისთვისაც „მოიცლის“ ქვეყანა, დარიშხანისთვისაც (რა თქმა უნდა, სასიკეთოდ გამოსაყენებლად!), ბენტონიტური თიხებისთვისაც და იმ ყველა სასიცოცხლო პროდუქციისთვისაც, რომლითაც „სამთო ქიმია“ ამარაგებდა არა მხოლოდ საქართველოს, მთელ საბჭოთა კავშირსაც, — ამბობს ბატონი ნიკა და ძალიან გინდა დაიჯერო, რომ ეს მართლაც ასე იქნება.

იუბილეს მისივე საყვარელი სადღეგრძელოთი ვულოცავთ ბატონ ნიკოლოზ ცხაკაიას:

**— თქვენ გაგიმარჯოთ, ბატონო ნიკა, კაცს, რომელსაც ბევრი სასიკეთო საქმე გიკეთებიათ და უკან მოხედვა ყოველთვის სიამაყით გავსებთ.**

ქართველი სამთოქიმიელების
სახელით,

**ელენე სალარიძე**

# ბიჭობაგამოუვლელად გაძველბიჭებულები...

**როგორც წესი, შემოქმედნი, მხატვრები იქნებიან, მოქანდაკეები, ლიტერატორები თუ პოეტები და ა.შ. ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევენ წინ და საკუთარ შემოქმედებით მწვერვალებს მოწიფულ ასაკში აღწევენ. არიან ამ წესიდან გამონაკლისნიც, რომლებიც ფართო საზოგადოებისთვის მანამდე უცნობნი, უკვე ასაკოვანნი, მეტეორივით უეცრად აიჭრებიან ხოლმე შემოქმედებით პარნასზე და საზოგადოებას ისეთ ქმნილებას შესთავაზებენ, რომლის დარსაც მომავალში ვეღარ შექმნიან. რაც, „სხვისა სიკეთეზე ზედა“ დამწუხრებულ მოშურნეთათვის ქილიკის საგანი ხდება ხოლმე!..**

თუმცა, შური და ღაზობა (საბას მიხედვით ღაზობა — არა თუ ოდენ მწუხარებისა ქონებაი, არამედ უძვირესიცა, რათა ენებოს მოსპოლვა კეთილმოქმედისა მის მოყვასისა) ვერაფერს აკლებენ შედევრებს.

შორს რომ არ წავიდეთ, ჭაბუა ამირეჯიბის ცხოვრება და შემოქმედება, მისი „დათა თუთაშხიაა“ ზემოთ ნათქვამის დასტური...



გივი ძნელაძე, უცნობი ლამაზი ქალბატონი, შოთა სალუქვაძე და დოდო აბაშიძე სიჭაბუკეში.

ნაწილობრივ ასეთივე ბედი გაიზიარა გიზო ნიშნიანიძის ქმნილებამ „პაემანი ვერაზე“.

ნაწილობრივ, რადგან დიდ ჭაბუასგან განსხვავებით გიზო ნიშნიანიძეს პლაგიატობა ვერავინ დასწამა და არა იმიტომ, რომ შური თუ ღაზობა ჩვენში დეფიციტი გახდა, არამედ იმიტომ, რომ მანამდე მსგავსი ფორმის თუ ტიპის ნაწარმოები აროდეს შექმნილა და პლაგიატობას ვით დასწამებდნენ?

სხვაფრივ, არც გიზო ნიშნიანიძეს დაჰკლებია მავან მწერალთაგან ზურგსუკან ქილიკი, ძირითადად ასეთ სტილში — ეგეც პოეტია, მაგასაც პოეტი ჰგონია თავი?.. რისი მოწმე მეც გამხდარვარ და აქ მათ ვინაობას არ დავასახელებ, რათა სიბერე არ გავუმწარო, მაგრამ ერთს კი ვიტყვი მათ გასაგონად — ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, როცა იქნება, ისინიც აღარ იქნებიან ამქვეყნად და მათ შემდეგ 20-30 წლის მერე მათ შთამომავლებსღა თუ ემახსოვრებათ, რომ ოდესღაც იყვნენ ასეთი მწერლები...

**გიზო ნიშნიანიძის „პაემანი ვერაზე“ კი, როგორც ქალაქური ზნეობრივი კოდექსი, მანამდე დარჩება, სანამ თბილისელობის ცნება იარსებებს საქართველოს დედაქალაქში!**

„თბილისის დოკუმენტური პოემა“ — ასე უწოდა საკუთარ პირმშოს გიზო ნიშნიანიძემ, რაშიც მოკრძალებით არ ვეთანხმები ცხონებულ ავტორს, რადგანაც აქ ყველაფერია: თუ ლექსის ხასიათზე ხარ მკითხველი, „პაემანი ვერაზე“ პოემაა, თუ პროზის, პროზაა და თუ თბილისის ისტორია გინდა, მაგასაც იქ იპოვნი!..

**„პაემანი ვერაზე“ პირველად, 1981 წლის 28 დეკემბერს მხატვრული კომპოზიციის სახით დაიდგა ფილარმონიის გადაჭედილ დიდ საკონცერტო დარბაზში, რამაც მანამდე უპრეცედენტო მარათონის სახე მიიღო — პირველი ნაწილი გვიან ღამით დამთავრდა და დანარჩენის სანახავად მეორე საღამოს, როგორც ერთი, ისევ შეიკრიბა წინა ღამის სანახაობით აღგზნებული მაყურებელი!**

ან რამხელა ბუმბერაზი მსახიობები მონაწილეობდნენ გასპექტაკლებული ნიჭიერების, ნაღდი თბილისური იუმორის ფეიერვერკში, რომელთა ჩამოთვლას არ დავიწყებ, რადგან ვინმე გამომრჩება.

**მხოლოდ ერთს გაგახსენებთ — იმ ღამეების ტელეაუდიტორიამ, ფართო საზოგადოებამაც გაიგო ის, რაც მანამდე ვიწრო სუფრების ბედნიერმა წევრებმა იცოდნენ მხოლოდ.**

**ვირტუოზი გიტარისტის ოთარ (კვაჭიჭო) რამიშვილის შესრულებულმა სიმღერამ თბილისზე, ნამდვილი ფურორი მოახდინა...**

მას შემდეგ ბატონ გიზოს ჰქონდა მცდელობა, იმ საღამოს 25 წლისთავზე, ახლა რომ იტყვიან, რიმეიკისა, მაგრამ 2006-ში ის მთავრობა იმას დაუშვებდა, რომ საკუთარი რეჟიმის საწინააღმდეგო რამ დაედგა?

„პაემანი ვერაზე“ ხომ კაცობის, სამართლიანობის, ბოლოს და ბოლოს, სიკეთის, ანუ, ყველაფერ იმის ჰიმნია, რასაც მიშა და მისი ნაცბანდა 9 წლის განმავლობაში ებრძოდნენ?

თუმცა, სამართალმა პური ჭამაო. არ ვიცი, იმიტომ, რომ რეჟიმის ცენზურას გამორჩა, ან იქნება სამუდამო მმართველობა გარანტირებული ეგონათ ტოტალურად ტერორიზებულ საქართველოში და ამიტომ წაუყრუეს ხელისუფლებაში მყოფმა ნაძირლებმა?

ასე იყო თუ ისე, 2011 წელს, „პაემანის ვერაზე“ 30 წლის საიუბილეო წარმოდგენა შედგა და ფილარმონიის წინ გიზო ნიშნიანიძის ვარსკვლავიც (ზოგიერთებისგან განსხვავებით, უდავოდ დამსახურებულად) გაიხსნა!

თუმცა, ჩემი გემოვნებით, ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით გაჯერებული საიუბილეო წარმოდგენა ახლოსაც ვერ მივიდა იმ პირველ, გიზოს დროინდელი, თბილისური ჟარგონით თუ ვიტყვით, თათარიახნად გამართულ, ჯიგრიან საღამოსთან...

**დღეს გიზო ნიშნიანიძის არც დაბადების, არც გარდაცვალების და არც „პაემანის“ მრგვალი თარიღია და რამ გამახსენა გიზო ნიშნიანიძე და „პაემანი ვერაზე“?**

რაოდენ პარადოქსულიც გინდა იყოს, გახშირებულმა მკვლელობებმა, აქედან — ნაკლებად ეფექტურმა რეიდებმა, ერთი სიტყვით, კრიმინოგენური ვითარების „გამწვავებამ“, რაც ნაციონალების და მათი ტელევიზიების მიერ „შემოგდებული“ პროპაგანდისტული ბლეფია და რასაც, სამწუხაროდ, ეს მერამდენედ წამოეგო ნაცების ნარჩენებისკენ მუდამ მზირალი (ემანდ რაიმე არ დაგვაბრალონო) ქოცების ხელისუფლება.

არადა, ჩვენში დღეს ისეთი არაფერი ხდება, რაც სხვაგან არ მომხდარა, ხდება და მოხდება!

სხვა საქმეა, რომ უკეთესი, უფრო მშვიდი ცხოვრება გვინდა, მაგრამ ამისთვის მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსი, მით უმეტეს მისი გამკაცრება, არ გამოგვადგება!

**ჩვენი მამების („პაემანში ვერაზე“ აღწერილ) თბილისში და ნაწილობრივ ჩვენი, მათი შვილების დროინდელ თბილისშიც, სისხლის სამართლის კოდექსის პარალელურად, თბილისის უბნების, გნებავთ, „ქუჩის სამართალიც“ მუშაობდა, რომელიც, ზოგიერთ შემთხვევაში სისხლის სამართალზე მკაცრიც იყო და სამართლიანიც, რადგან, თუ სისხლის სამართლის კოდექსიდან შეიძლებოდა მდიდარი მამიკოს მაყუთს, ან მაღალი თანამდებობის „ბლატებს“ დაეხსენი, ქუჩა, უბანი ის ადგილი იყო, სადაც მაყუთს, მავანის სოციალურ სტატუსს არ დაგიდევდნენ და თუ დაიმსახურებდა, მინისტრისა და ელდეპოს მუშის შვილს ერთნაირად მოხვდებოდა ყურისძირში.. ანუ, უბნის დაუწერელ იერარქიაში იმ ადგილს მიგიჩენდნენ, რასაც იმსახურებდი!**

შესაბამისი ვერდიქტები კი იმ, ე.წ. ბირჟებზე გამოჰქონდათ უბნის ავტორიტეტებს, რომლებიც თბილისის ყველა უბანში არსებობდა და სწორედ ამიტომ მავან ახვრებს სისხლის სამართალზე მეტად ქუჩის სამართლისა ეშინოდათ...

პირველ რიგში სწორედ ამიტომ იყო მაშინ მკვლელობა, ყაჩაღობა, დაჭრა, გაუპატიურება და ა.შ. დღევანდელზე ბევრად ნაკლები და არა მხოლოდ ჩეკისტური რეიდების გამო...

**ახლა ისეთი კანონები მიიღეს ნაცებმა (რომელთა შეცვლას არც კი ფიქრობს ქოცების ხელისუფლება), უფროსმა კაცმა უბანში დანასისხლად დაპირისპირებული ყმაწვილები რომ შეარიგო, საქმის ქურდულად გარჩევად ჩაგითვლიან და კაი ხნით გაბანავებენ ვირის აბანოში!**

## „რომ იყო ქუჩის ბიჭი, მაგასაც უნდა ნიჭი“

**დიდი ხნის წინათ ლექსად ამოთქვა ფართო საზოგადოებისთვის უცნობმა ნიჭიერმა პოეტმა და პროზაიკოსმა, გლდანის ციხეში მოკვდინებულმა ჩემმა სიყრმის მეგობარმა ანანია სალუქვაძემ და მართლაც:**

გოგია ქარსელაძე, დოდო აბაშიძე, შოთა სალუქვაძე, გივი ძნელაძე, თენგიზ კეკელიძე, მერაბ ბერძენიშვილი და ა.შ. სხვა მრავალნი, ეს ის ნიჭიერი „ქუჩის ბიჭები“ იყვნენ, რომლებიც ვერის ბირჟაზე მხოლოდ „სემიჩკის საპურჭყებლად“ კი არ აბირჟავებდნენ, არამედ ქუჩის სამართლის სასწორი ეჭირათ ხელში და, როგორც გიზო ნიშნიანიძემ თქვა „პაემანში“ შოთა სალუქვაძეზე (მის ნათქვამს განვაზოგადებ):

**„მათ სიტყვას სულ სხვა შნო და ლაზათი დაედო, წვდებოდა შიგ გულის ფიცარს. იცავდნენ, რომ ვინმეს თავი არ აეგდო, თბილისის ცასა და მიწას“...**

პაემანში ერთგან ოთარ მგელაძეზე ამბობს: გუშინ ვიღაცა მოუკლავთ. ის რომ ყოფილიყო, ეს არ მოხდებოდა!

რის პერიფრაზსაც დღევანდელობასთან მიმართებით ასე შემოგთავაზებთ:

**ისინი რომ ყოფილიყვნენ, ძველი თბილისური უბნების მსგავსი დღესაც რომ ყოფილიყო, ვერანაირ გეიპარადებს ვერ გაგვიბედავდნენ, რადგან ყველა უბანი საკუთარ შეურაცხყოფად მიიღებდა ამას და ყოველგვარი ტაბურეტკების გარეშე აღკვეთდა მსგავს უმსგავსობას...**

და იქვე — **„ბიჭობა კაცობაში ვალად არ უნდა გადაგყვეს, რომ მერე კაცობაში ლაწირაკობას არ აყვე“...**

ჰოდა, აკი არც გადაჰყვათ და კაცობაში თითქმის ყველა მათგანმა ძალუმი სიტყვა თქვა ხელოვნებაში (მარტო დიდი მერაბ ბერძენიშვილის და დოდო აბაშიძეს სახელები კმარა დასტურად), მეცნიერებაში და ა.შ.

და ისევ „პაემანი ვერაზე“: **„რამდენი ბავშვობაში გალახული მახსოვს, დღესაც გველის ნაკბენივით ახსოვს. ბიჭობაუნახავად გაბერბიჭებული შხამსა და სამსალას აქსოვს. გუშინდელ ჯავრს დღეს იყრის ეს ბოღმა, ცუდად გატარებული ბავშვობის გამო, ბიჭობაგამოუვლელად გაძველბიჭებული, ძველი ანგარიშების სწორებას ლამობს“...**

ბრავო! უკეთესად თქმა შეუძლებელია იმაზე, რაც დღეს გვჭირს...

ცუდად, უგემურად გატარებული ბავშვობიდან მოვიდნენ ისინი, ვინც საქართველოში 9 წლის მანძილზე ხელისუფლობდა. ბიჭობაგამოუვლელად მაღალ თანამდებობებზე გაძველბიჭდნენ ახალაიები, კოდუები, ბოკერიები, კეზერაშვილები, უგულავები, მერაბიშვილები და ა.შ. მათი სახელი ლეგიონია. თუმცა, რაღა შორს წავედი, მაგათი კრეტინი პრეზიდენტიც ცუდად გატარებული ბავშვობიდან არ მოდის?



ბავშვობიდან, სადაც ფეხბურთსაც კი არ ათამაშებდნენ და 51-ე სკოლის ეზოში ხეზე შესკუპებული უცქერდა თანაკლასელების თამაშს, რაც მართლაც გველის ნაკბენივით დაიმახსოვრა ამ ბოღმამ და გაპრეზიდენტებულმა, როგორც საკუთარი ცუდად გატარებული ბავშვობის მდუმარე მოწმე, სწორედ ისე ხე მოაჭრევინა!

ჰოდა, ამიტომაც მოსვლისთანავე დაუწყეს ბრძოლა ყველაფერ კაცურს, ქალაქელობას, თბილისური უბნების ჯანსაღ ტრადიციებს — კაცობის კოდექსი ჩაშვების კოდექსით შეგვიცვალეს!

ამიტომაც დააყენეს სისხლის გუბეები და ცრემლის მდინარეები გაძველბიჭებულმა მაღალჩინოსნებმა, რომ ბავშვობისდროინდელი ბოღმა და ჯავრი ჩვენზე იყარეს ციხეებში სადისტობით თუ ქუჩებში დახვრეტებით თორემ, თორემ, რომელ „ქუჩის ბიჭს“ მოაფიქრდებოდა ცოცხები და ის გაუგონარი სადისტური სიბინძურეები, რომლებიც მრავალი ათას ფაილზე თავადვე „უკვდავჰყვეს“...

ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ: ჩემი ნება რომ იყოს, „პაემნიდან ვერაზე“ ამონარიდებს უფროსკლასელებს ვასწავლიდი, როგორც კაცობის, რაინდობის, მამულიშვილობის მაგალითებს, მაგრამ, ავოეეე, სადა ვბანაობ, ამეებმა გოგებაშვილის „დედა ენა“ ამოიღეს სკოლებიდან და გიზო ნიშნიანიძის „პაემანი ვერაზე“ ვის დაკარგვია?

ნიაზ დიასამიძეს მოეფერა პაემანში — „მე დავავიწყდები, შენ დაავიწყდები, ის არ ავიწყდება თბილისს“...

**ბატონო გიზო, არც შენ ავიწყდები თბილისს!..**

**დღეს, გიზო ნიშნიანიძის გარდაცვალების სამი წლისთავია!**

**ღმერთმა აცხონოს...**

**დავით მხეიძე**

◎ სარედაქციო ფოსტიდან

# იქნებ ის ხალხი, ვინც ზურგში გმირულად იბრძოდა, გაათანაბროთ ვეტერანებთან?!

**საქართველოს ვეტერანთა დეპარტამენტის ხელმძღვანელს ირაკლი შიხიაშვილს**

**9 სექტემბერს** სატელევიზიო პროგრამა მაესტროზე შევიტყვეთ თქვენი ვეტერანთა დეპარტამენტის ხელმძღვანელად დანიშვნის შესახებ და მოვისმინეთ თქვენი ინტერვიუ ჟურნალისტებთან. სავსებით ვიზიარებთ თქვენს პოზიციას იმ ადამიანებისა და ოჯახების მიმართ, ვინც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და ქვეყნის მცხოვრებთა კეთილდღეობისათვის იმ რთულ წლებში საპასუხისმგებლო საქმეებს უანგაროდ ემსახურებოდა. ასეთი ადამიანების დანახვა და გვერდზე დგომა (მით უმეტეს თუ მათ საპენსიო ასაკს მიაღწიეს, ბევრი მათგანი ცოცხალიც აღარ არის) ვეტერანთა დეპარტამენტიდან სავსებით სამართლიანია, რაშიც თქვენს პათოსს ვიზიარებთ, ამიტომაც გადავწყვიტეთ მოგმართოთ ამ წერილით.

საქართველოს დამოუკიდებლობის პირველსავე წლებში პურის საწარმოები ერთგვარი სოციალური ბარომეტრის როლს ასრულებდნენ ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში (ძმათა დაპირისპირება), ენერგეტიკულ კრიზისში (რუსეთიდან შეწყვიტეს ბუნებრივი აირის მოწოდება). საინჟინრო თვალსაზრისით ქარხნების ალტერნატიულ საწვავზე გადასვლა რთული აღმოჩნდა, რადგანაც ალტერნატიული საწვავიც არ პასუხობდა სათანადო მოთხოვნებს, საწარმოთა აღჭურვილობა მოძველებული იყო. ამას მოჰყვა, ხორბლისა და ფქვილის კრიზისი. ნორმირება, მიუხედავად ამ სიძნელეებისა, მაშინდელი ქარხნების სტაბილურმა და ხშირ შემთხვევაში, თავდაუზოგავმა მუშაობამ ქვეყანას უპურობა არ აგრძნობინა, რასაც ამერიკელი ექსპერტების (ვინც ჩვენს ქვეყანას ეხმარებოდა და არა მხოლოდ მათი) დადებითი შეფასება მოჰყვა. მიუხედავად უმძიმესი სამეწარმეო გარემოსი, პურპროდუქტების დარგში ლიბერალიზაცია და განსახელმწიფოებრიობა განხორციელდა. შეგახსენებთ მეზობელ სომხეთში სპიტაკის მიწისძვრის მეორე დღესვე პურის მანქანების კოლონა გავგზავნეთ მოსახლეობის დასახმარებლადაც.

ასევე 1992-96 წლებში ურთულესი აღმოჩნდა პურპროდუქტების სფეროს მუშაკებისათვის, ეკონომიკური და ენერგეტიკული კრიზისი, აფხაზეთის ომი და რთული კრიმინოგენური სიტუაცია (ვიმყოფებოდით მუდმივ საბრძოლო მდგომარეობაში), კომენდანტის საათი და ბანდების თარეში, თავდასხმები ქარხნებზე, იყო სროლისა და დაჭრის უამრავი შემთხვევა და უმძიმესი სამუშაო გარემო. ისე, როგორც ჯარისკაცები, ქვეყნის ერთგული ადამიანები თავდაუზოგავად ვცდილობდით მძიმე პირობებთან გამკლავებას, ქარხნის სიმძლავრეების შენარჩუნებასა და როგორც მოსახლეობის, ასევე საჯარისო ნაწილების პურით უზრუნველყოფას.

იყო შემთხვევები, როდესაც 250-გრადუსიან გავარვარებულ ღუმელში მექანიკოსები ტექნიკურ შეკეთებას ახორციელებდნენ. იმდენად რთული დრო იყო, რომ გარდა ჩვენი საწარმოებისა, ქალაქში არაფერი მუშაობდა ამ რეჟიმში (დღე და ღამე), დარგის და თბილისის მერიის ხელმძღვანელებთან ერთად თავდაუზოგავად ვცდილობდით, შეუფერხებლად მოგვემარაგებინა როგორც ქალაქი, ასევე საჯარისო ნაწილები. ქარხნებში მოგვიანებით, როდესაც გაუსაძლისი გახდა სამუშაო გარემო, დაწესდა ვიცე-მერებისა და საჯარო ნაწილების პასუხისმგებელი პირების მორიგეობა. დღე და ღამე ქარხნებში ვიმყოფებოდით შეიარაღებულ ადამიანებთან და საომარი მოქმედებებიდან დაბრუნებულ ადამიანებთან ურთიერთობა განსაკუთრებულ მოპყრობას ითხოვდა. გვქონდა პირდაპირი კავშირი სახელმწიფო სტრუქტურებთან (კპ), ქარხნის დაცვას ახორციელებდნენ პოლიციის „თბილისის“ გარნიზონისა და საჯარისო ნაწილები. თქვენ წარმოიდგინეთ ჯავშანტრანსპორტიც კი დაჭირდა ზოგიერთი ქარხნების დასაცავად, იმდენად დაძაბული იყო ვითარება. ქარხნის ხელმძღვანელებს მერიისა და საქართველოს რესპუბლიკის პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაციის ხელმძღვანელებთან ერთად სურსათ-სანოვაგე ჩაჰქონდათ ქ. სოხუმში. მაგალითად სოხუმის დაცემამდე ხუთი დღით ადრე დარგის ხელმძღვანელი ომარ კაციტაძე, ქარხნის დირექტორები თემურ კენჭაძე, სპარტაკ გოგინავა და მალხაზ დოლიძე თავად არიგებდნენ სამხედრო ნაწილებში ჩატანილ პროდუქტს. სოხუმის აეროპორტში მორიგეობდნენ დარგის წარმომადგენლები. ამის შესახებ სამხედრო კორესპონდენტები გორელიშვილი და ოსეფაიშვილი საზოგადოებას ამცნობდნენ ტელევიზიით. ჩვენი რთული სამუშაო გარემო შუქდებოდა პრესითა და ტელევიზიით, ხოლო 1997 წლის 3 ივნისს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით პურპროდუქტების საწარმოს რამდენიმე დირექტორი დაგვაჯილდოვეს „ღირსების ორდენებით“. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის განკარგულების შესაბამისად ყურადღებას ვიჩენდით ლტოლვილთა დაბინავებისა და დასაქმების საკითხებში. პურს ვაწვდიდით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარდამავალ ინტეგრირებულ წარმომადგენლებსა და აშშ თბილისის საელჩოს თავდაცვის სამინისტროს საჯარისო ნაწილებს. არანაკლები იყო საჯარისო ნაწილებისა და ქ.გორის პურით უზრუნველყოფა 2008 წლის აგვისტოსა და შემდგომ პერიოდში, პურს ვაწვდიდით რკონის ხეობაში განლაგებულ ქართულ ჯავშანტექნიკის საჯარო ნაწილს და იქაურ მოსახლეობას (შემსრ.ირემაშვილი). ამჟამად საქართველოს უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით გავაფორმეთ მემორანდუმი, სადაც ყოფილმა ქარხნებმა ავიღეთ პასუხისმგებლობა, საჭირო შემთხვევებში უზრუნველგვეყო ამ პირველადი პროდუქტით ხალხი (შენარჩუნებული გვაქვს შესაბამისი დანადგარები) ადამიანები, რომელთა თავზეც გადაიარა ამდენმა პრობლემამ და პასუხისმგებლობამ, სასურველია გათვალისწინებული იქნას ვეტერანთა საბჭოს მიერ მათი შრომა და ერთგულება ქვეყნის წინაშე და გათანაბრებულ იქნან ვეტერანებთან, რაზეც დეპარტამენტის ახალმა ხელმძღვანელმა სამართლიანად მოახსენა საზოგადოებას.

## წინადადება

**მალხაზ დოლიძე,**
**ინჟინერი, „ღირსების ორდენოსანი“, თბილისის №4 პურის ქარხნის დირექტორი;**
**სპარტაკ გოგინავა,**
**„ღირსების ორდენოსანი“, თბილისის №7 პურის ქარხანა „კრწანისის“ დირექტორი;**
**იოსებ კუხიანიძე,**
**ღირსების ორდენოსანი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, „თემქა პურის“ გენერალური დირექტორი**

**P. S. სამწუხაროდ, ბევრი ჩვენი კოლეგა ცოცხალი აღარ არის, მათ შორის შესანიშნავი დარგის ხელმძღვანელი ომარ კაციტაძე, და №5 პურის ქარხანა „ლომოიდოს“ დირექტორი თემურ კენჭაძე.**

# როცა დაპირება დაპირებად რჩება,

## ანუ „წყალში ვდგავარ, ცეცხლი მიკიდია“...

**პირდაპირ**, ყოველგვარი შესავლის გარეშე უნდა ვთქვა ჩემს გასაჭირზე — ოთხ თვეზე მეტია (ეს ერთი კვარტალია), მეტად არასახარბიელო მდგომარეობაში ვიმყოფები. ვცხოვრობ გიორგი ახვლედიანის ქუჩაზე (№13, მეოთხე სართული). სახურავი, როგორც ჩანს, ცუდად იყო გაკეთებული და ქარმა თუნუქი რამდენიმე ადგილას ააგლიჯა. ამან მალე იჩინა თავი: ოთახსა და აივანზე, ძლიერი წვიმის შემდეგ წყალმა იწყო დენა. ჭერი, ჯერჯერობით არ ჩამონგრეულა (ალბათ ბიაზი იჭერს), მაგრამ საგრძნობლად არის დაზიანებული და ბინაში გაჯის უსიამოვნო, შემაწუხებელი სუნი დგას ხოლმე.

ამა წლის 29 აპრილს მთაწმინდის გამგებლის, ბატონ ნიკა მელიას სახელზე განცხადება შევიტანე, რათა სახურავი შეეკეთებინათ. წინასწარ ვიცოდი, ეს თანადაფინანსებით უნდა მომხდარიყო და ამას იმთავითვე შერიგებული ვიყავი.

დაახლოებით ერთი თვის მერე, როცა მერიის „ცხელ ხაზს“ დავუკავშირდი, მითხრეს, თქვენი საკითხის განხილვა მიმდინარეობს, მოითმინეთ, ცოტა ვადროვოთ; და ყველაფერს მიხედავენო.

მერე გამგებლის მოადგილეს, ბატონ დავით ავალიანს მივაკითხე და ვთხოვე, დამხმარებოდა. მან ძალზე თავაზიანად მიმიღო, იმ დღესვე დაავალა ინჟინერს (გოჩა ჰქვია, გვარი არ მახსოვს, მობილურის ნომერი ჩაწერილი მაქვს) საქმის მოგვარება. ინჟინერმა მალევე გამომიგზავნა ოსტატი სახურავის დასათვალიერებლად. ოსტატმა მითხრა — საკმაოდ დიდი სამუშაოა, ხარჯთაღრიცხვაა შესადგენი, გეგმაში უნდა ჩაგსვათ და სასწრაფოდ ინჟინერს დაუკავშირდითო. ბატონ გოჩას რამდენჯერმე დავურეკე და დაპირებული დახმარება ყოველთვის თითო თვით გადამიდო, როცა ფულს ჩაგვირიცხავენ, მუშაობას მერე შევუდგებითო. უკანასკნელად სინანულით მითხრა, დაფინანსება არ ჩანს, ეტყობა, ოცნების ამარა დაგვტოვებენ, მე არაფრის გაკეთება არ შემიძლიაო. დაბნეულმა ველარაფერი ვუთხარი და ვერც ის მოვიფიქრე, საშველის დასაყენებლად ვისთვის მიმემართა.

თუმცა, ეჭვი მეპარება, მიზანს მივაღწიო, მაგრამ მაინც გადავწყვიტე, ჩემი გასაჭირის ამსახველი მცირე წერილი „საქართველოს რესპუბლიკაში“ მიმეტანა. ეს გაზეთი, პირადად მე, ყველაზე კომპეტენტურად და სოლიდურად მიმაჩნია; იქ საუკეთესო პროფესიონალები, ჩემი სიყრმის მეგობრები მუშაობენ, თუმცა, მრავალი დამსახურების მიუხედავად, წინა ხელისუფლებამ რედაქცია, სხვებთან ერთად, შენობიდან გამოასახლა და უბინაოდ დატოვა.

მართალია, წლევანდელი ზაფხული აუტანლად ცხელი იყო, ქალაქში დარჩენილებს სული გვეხუთებოდა, მაგრამ რამდენჯერმე მაინც კოკისპირულად გაწვიმდა და ჭერიდან თხლიშინით ჩამოდიოდა წყალი. კოჭებამდე ტბორში ვიდექით და ჩემს ვაჟთან ერთად (უდიასახლისო ოჯახია), იატაკს ტილოთი ვამშრალებდი. ჩემზეა ზედგამოჭრილი დიდი თბილისელი აშუღის იეთიმ გურჯის სევდიანი გამონათქვამი: „წყალში ვდგავარ, ცეცხლი მიკიდია!“ ახლა, როცა სექტემბერი განახევრდა, დგება წვიმების სეზონი და ავი მომავლის მომლოდინეს პანიკური შიში მიპყრობს.

ადრე „კომუნისტში“, „ზარია ვოსტოკასა“ ანდა „ნიანგში“ პაწია ფელეტონიც რომ დაგებეჭდა, მაშინვე განგაში ატყდებოდა, საფუძვლიან საჩივარს არავინ დატოვებდა უყურადღებოდ, რეაგირება მუდამ დაუყოვნებელი იყო და სასურველი შედეგიც მოჰყვებოდა.

სამწუხაროდ, ამჟამად არ არსებობს რომელიმე ორგანო, სადაც შენს გულისტკივილს გამოაქვეყნებ და ამის შემდეგ ანგარიშს გაგიწევენ. კარგად ვიცი, ჩვენს მრავალმხრივ შეჭირვებულ სამშობლოში, ცხრა წლის მანძილზე, რანაირი განუკითხაობა სუფევდა და დასანანია, რომ ადამიანთა დამთრგუნველი გულგრილობა კვლავ გრძელდება.

ეგებ თბილისის ახალმა მერმა, ბატონმა დავით ნარმანიამ, ვისზედაც ბევრი რამ კარგი გვსმენია, მეტი სიმკაცრე გამოიჩინოს, რათა შესაბამისმა უწყებებმა თავიანთი მოვალეობანი უკეთ შეასრულონ და მოქალაქეთა კანონიერი უფლებები, მოთხოვნები აბუჩად არ იქნეს აგდებული.

ასეთ გაურკვეველ, საჩოთირო მდგომარეობაში, ცხადია, მარტო მე არ ვიმყოფები; ეს არ გახლავთ მხოლოდ პირადი საწუხარი, უფრო „საზოგადო ჭირს“ წააგავს და წინამდებარე განცხადების დაწერაც ამან მაფიქრებინა. ძნელია, იმ აზრთან შეგუება, რომ საშველს ვერსად ხედავ.

**ემზარ კვიტაიშვილი,**
15 სექტემბერი, 2014.

◎ კაკალ გულში

## წეხცილოვანი ოჩაზები

● ამდენი ხანია ვფიქრობ და ვერ გავიგე რატომ: „რუსთავი 2“-ში ჭიკაიძეს ყოველდღე დასცინიან, ანტისახელისუფლებო პროპაგანდას ეწევიან (მე კი არა, თვით ბიძინამაც თქვა) და ამათ კი შ.ს.ს.-ს აკადემიის და ახალი პირადობების რეკლამა მიაქვთ, უზარმაზარ ფულს უხდიან, რომლიდანაც „რუსთავი-2“-ელები ხელფასებს იღებენ და უფრო მწარედ ღადაობენ.

● ჩემსა და სააკაშვილს შორის მსგავსება გაჩნდა, რატომღაც მინდა, რომ ეს პარლამენტი ჩავრეცხო!

● მედიის პრობლემა იმაშია, რომ ნაცების ნაკარნახევ აგორებულ თემებს აპიარებს და პირველ ნიუსებად თვლის, ამაშია სწორედ ჩვენი საგაზეთო თუ ტელეჟურნალისტიკის პრობლემა. თავად ვერ პოულობენ წამოსაწევ თემებს, თითქოს პრობლემები დაილია და სადმე, სხვა ქვეყანაშია საძებარი, აი ეს ყველაფერი კი ნებსით, თუ უნებლიედ სწორედ ჩვენი მტრების, ნაცების წისქვილზე ასხამს წყალს, არაპროფესიონალიზმზე მეტყველებს ეს ყველაფერი, მერე შეჯიბრი ვინ არ ჩამორჩება და უფრო ფართოდ გააშუქებს ნაცების წამოწეულ მათ ცხელ თავებში გადახარშულ დესტრუქციულ თემებს...

● ეს რეიდები და ლიმონკა პივების კონფისკაცია იქეთ იყოს მარა ძაან ქაქისფრად იღრუბლება, სერიოზული მიზეზები არსებობს მხოლოდ ცუდის მოლოდინში ვიყოთ, მე ვფიქრობ სიტუაცია არანაკლებ სერიოზულადაა, ვიდრე პირველ ოქტომბრამდე მოვიყვანეთ, საჭიროა ჩვენი კონსოლიდაცია და უფრო მეტი თანამოაზრეების შემოკრება და ამ ყველაფრის ხალხის სამსახურში მომართვა, შემდეგ უკვე ფიქრი თუ სადაა გამოსავალი და რა შეიძლება გაკეთდეს, დამიჯერეთ, სულ მალე გვიანი იქნება...

● რამდენჯერ გავიმეორო: მილიარდერი რომ არის, იმიტომ კი არ არის ჭკვიანი, ჭკვიანი რომ არის, იმიტომ არის მილიარდერი!

● შევწუხდი! ატარეთ პაეზდკებშიიიი! რა გენაღვლებათ? მაინც ჩვენ ვიხდით!

● სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადების ადრესატი, როგორც წესი ხელისუფლება არის ხოლმე. ეს განცხადება არის იშვიათი გამონაკლისი და განცხადების პირველ ნაწილში სახელმწიფო დეპარტამენტი პირდაპირ მიმართავს საქართველოს მოქალაქეებს და არა ხელისუფლებას.

ეს არის მიმართვა საქართველოს მოქალაქეებისადმი და რატომ? ჩემი აზრით, აშშ ვერ ხედავს პოლიტიკურ სივრცეში აშკარად გამოხატულ პროდემოკრატიულ და პროატლანტიკურ ძალებს ანუ ვერ ხედავს მის მოკავშირეს საქართველოში და ეს განცხადება არის მოწოდება ახალი რეალობის შექმნისაკენ. ვცდები?

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძემ**

№190. ხუთშაბათი, 18 სექტემბერი, 2014 წელი.

# საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისიის განცხადება

**საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 2 სექტემბრის №70/04 ბრძანებით დამტკიცებული დებულებისა და 2014 წლის 22 აგვისტოს №63 განკარგულებისა, 2014 წლის 6 ოქტომბერს, საქართველოს ეროვნული ბანკის ცენტრალურ ოფისში (სანაპიროს ქუჩა№2, ოთახი №416) დღის 12 საათზე ჩატარდება საჯარო აუქციონი, ეროვნული ბანკის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:**

ცხრილი N1

| N | საინვენტარიზაციო ნომერი | ძირითადი საშუალების დასახელება | შემადგენლობა | ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| 1 | 15901, 16978, 16979 | ვიდეო სათვალთვალო სისტემა | 1 ც მულტიპლექსორი VideoTronic";<br>2 ცალი სერვერი;<br>5 ცალი ვიდეოკამერა "VideoTronic" | 900 |
| 2 | 27627 | ვიდეოკონტროლის აპარატურა | 1 ცალი ციფრული ვიდეო ჩამწერი "H. 264 Digital Video Recorder;<br>15 ცალი ვიდეოკამერა "VideoTronic" | 1350 |
| 3 | 27630, 27643, 27642, 15889 | ვიდეოკონტროლის აპარატურა | 1 ცალი გადამყვანი " NT-2416R";<br>1 ც მონიტორი "Videotronic";<br>1 ცალი მართვის პულტი Videotronic<br>1 ცალი მართვის პულტი "Panasonic";<br>5 ცალი "Dome" კამერა | 1800 |
| 4 | 15492 | ვიდეოკონტროლის აპარატურა | 1 ცალი ვიდეო ჩამწერი 'Hitachi';<br>15 ცალი ვიდეოკამერა "VideoTronic" | 1350 |
| 5 | 27634, 27628 | ვიდეოკონტროლის აპარატურა | 1 ცალი სერვერი "Honeywell";<br>1 ცალი "UPS MGE - 1500";<br>1 ცალი "Dome" კამერა | 900 |
| 6 | 15493, 15662 | ვიდეოკონტროლის აპარატურა | 1 ცალი ვიდეო ჩამწერი 'Hitachi';<br>8 ცალი ვიდეოკამერა "Panasonic" | 1350 |
| 7 | 15491 | ვიდეოკონტროლის აპარატურა | 5 ცალი მულტიპლექსორი;<br>1 ცალი მონიტორი "VideoTronic<br>10 ცალი ვიდეოკამერა "VideoTronic" და "Panasonic";<br>3 ცალი ვიდეოკამერის სამაგრი ფეხი | 1350 |
| 8 | 27629 | ვიდეო კონტროლის სისტემის აპარატურა | 1 ცალი ვიდეო ჩამწერი 'QX 1600";<br>17 ცალი ვიდეოკამერა "YC 67 M" | 5400 |
| 9 | 18951 | დაშვების ელექტრონული სისტემა | 5 ც კონტროლერი პლატა;<br>1 ცალი საბარიერო ავეჯი | 13500 |
| 10 | 27641 | ვიდეოკონტროლის აპარატურა | 1 ცალი მართვის პულტი "Panasonic";<br>8 ცალი კამერა "VS-115NSHN-3" | 1800 |
| 11 | 15490 | ვიდეოკონტროლის სისტემა | 1 ცალი ვიდეო ჩამწერი "Hitachi";<br>10 ცალი ვიდეოკამერა "Panasonic | 1350 |
| 12 | | დაშვების ელექტრონული სისტემა | 1 ც კონტროლერი პლატა;<br>1 ცალი საბარიერო ავეჯი | 1800 |
| 13 | 15905 | ვიდეო კონტროლის აპარატურა | ვიდეოჩამწერი "Panasonic"<br>5 ცალი სერვერი "Honeywell"; | 180 |
| 14 | 27635, 27636, 13233, 13230, 13221, 13226, 13227, 13225 | ვიდეო კონტროლის აპარატურა–სვიჩი | 2 ცალი გადამყვანი "SLT-1610R<br>1 ცალი სვიჩი "Cisco 3560";<br>17 ცალი ვიდეო კამერა "YC 491W" | 7200 |
| 15 | 27639 | ვიდეო კონტროლის აპარატურა | 1 ცალი მოდემი;<br>1 ცალი გადამყვანი "SLT-1610R; | 900 |
| 16 | 15806, 15907 | ვიდეო კონტროლის აპარატურა | 1 ცალი სისტემის კონტროლი"VideoTronic"<br>1 ცალი გადამყვანი ,, Everplex" | 900 |
| 17 | 19034 | მბრუნავი ვიდეო კამერა "Panasonic" | მბრუნავი ვიდეო კამერა "Panasonic" | 270 |
| 18 | 15659 | ვიდეო მონიტორი "VideoTronic" | ვიდეო მონიტორი "VideoTronic" | 180 |
| 19 | 15406 | ვიდეო მონიტორი | ვიდეო მონიტორი "VideoTronic" | 180 |
| | | "VideoTronic" | | |
| 20 | 15889 | ვიდეო მონიტორი "VideoTronic" | ვიდეო მონიტორი "VideoTronic" | 270 |
| 21 | 18072-27640 | ვიდეო კონტროლის აპარატურა | 2 ცალი ვიდეო ჩამწერი "QX 1600";<br>10 ცალი "Dome" კამერა | 4050 |
| 22 | 18073 | ვიდეო კონტროლის აპარატურა | 1 ცალი ვიდეო ჩამწერი "QX 1600"<br>5 ცალი "Dome" კამერა | 3150 |
| 23 | 27632 | ვიდეო კონტროლის აპარატურა | 1 ცალი გადამყვანი "NT-2416R";<br>8 ცალი "Dome" კამერა | 3150 |
| 24 | 27631 | ვიდეო–საკონტროლო სისტემის აპარატურა | 1 ცალი გადამყვანი "NT-2416R";<br>2 ცალი "Dome" კამერა | 900 |
| 25 | 27637 | ვიდეო კონტროლის აპარატურა | 1 ცალი ვიდეო ჩამწერი "QX 1600";<br>3 ცალი "Dome" კამერა | 4500 |
| 26 | 27638 | ვიდეო კონტროლის აპარატურა | 2 ცალი ვიდეო ჩამწერი "QX 1600";<br>8 ცალი "Dome" კამერა | 13500 |
| 27 | 20305 | ფულის დამთვლელ დამახარისხებელი მანქანა | „Cobra 4004" | 22500 |
| 28 | 20306 | ფულის დამთვლელ დამახარისხებელი მანქანა | „Cobra 4004" | 22500 |
| | | სულ ჯამი | | 117,180.00 |

ლოტების საწყისი სააუქციონო ფასი განსაზღვრულია №1 ცხრილში მითითებული ფასების მიხედვით.

აუქციონში მონაწილეობისათვის შესატანი ბეს მოცულობა შეადგენს ქონების საწყისი სააუქციონო ფასის 10%-ს, რომელიც ჩარიცხული უნდა იქნეს საქართველოს ეროვნული ბანკის № GE88NB0450100117904-101 ანგარიშზე, (ს/კ 203 824 148, ბანკის „SWIFT" კოდი: BNLNGE22). აუქციონის დასრულების შემდეგ დაფიქსირებული თანხის გადახდა სავალდებულოა დადგენილ ვადებში. მყიდველს გადახდილი ბე-ს თანხა ჩაეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას. განაცხადი (რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილის და ობიექტის შესახებ), ბეს შეტანის ქვითარი, აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, იურიდიული პირების მონაწილეობის შემთხვევაში, დამატებით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან წარედგინება სააუქციონო კომისიის მდივანს რეგისტრაციისათვის, რის შემდეგაც გაიცემა „მონაწილის ბილეთი". უმცირესი „ბიჯი" შეადგენს 10 (ათი) ლარს. აუქციონის დასრულების შემდეგ დგება ოქმი, რომლის ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში მყიდველმა ოქმში მითითებულ ანგარიშზე უნდა ჩარიცხოს ობიექტის მთლიანი თანხა ან ნახევარი მაინც, რომელიც შეესაბამება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს. იმ შემთხვევაში თუ ზემოაღნიშნულ ვადაში მყიდველმა გადაიხადა ობიექტის ღირებულების მხოლოდ ნახევარი, გადახდის ვადა გახანგრძლივდება ოქმის ხელმოწერიდან კიდევ 30 კალენდარული დღით. თუ მყიდველი უარს იტყვის ნაყიდ ქონებაზე ან დროულად არ შეიტანს საჭირო თანხას, მას ჩამოერთმევა უფლება ქონების შეძენაზე და გადახდილი თანხა და ბე არ დაუბრუნდება. საჯარო აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების რეალიზაციის მიზანია საკუთრების უფლება მიენიჭოს საჯარო აუქციონში მონაწილე იმ პირს, რომელიც ვაჭრობის პროცესში სახელმწიფო ქონების განმკარგავ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს. ასევე აუქციონში გამარჯვებულის დადგენის და მის მიერ აუქციონზე შეთავაზებული თანხის სრულად დაფარვის შემდეგ მოხდება ქონების მყიდველისათვის გადაცემა.

პირს უფლება აქვს, ბეს დაუკავებლად უარი განაცხადოს წერილობითი ფორმით საჯარო აუქციონში მონაწილეობაზე, განაცხადების მიღების ვადის ამოწურვამდე 48 საათით ადრე.

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღებას კომისია იწყებს აუქციონის გამოცხადების დღიდან და ამთავრებს აუქციონის დაწყებამდე 24 საათით ადრე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადებები არ მიიღება. დაინტერესების შემთხვევაში, დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების მიზნით და ლოტების სანახავად შეგიძლიათ, მიმართოთ ბექა ბარბაქაძეს (ტელ: 2 40-63-97, მობ: 577 98-40-34).

**საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია**

## დედამიწის ზურგზე



**ობამამ იმის შესახებ ისაუბრა, თუ რას გააკეთებს აშშ „სასიკვდილო საფრთხესთან — ებოლას ციებ-ცხელებასთან ბრძოლისათვის**

**ამერიკელი ჯარისკაცები იწყებენ ბრძოლას ინფექციასთან, რომელმაც დასავლეთ აფრიკაში უკვე 2,5 ათასი კაცი შეიწირა. სასარდლო ცენტრს გენერალ-მაიორ დერილ უილიამსის მეთაურობით ლიბერიის დედაქალაქში განათავსებენ. მის განკარგულებაში იქნება 3 ათასი ჯარისკაცი და 5 მილიონი დოლარი. ობამას ძალისხმევას გლობალური საფრთხის თავიდან აცილებისათვის დიდი შეფასება მისცეს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში.**

**„ნასა" 6,8 მილიარდ დოლარს დააბანდებს „კოსმოსური ტაქსის" შექმნაში, რომელიც რუსეთის მონოპოლიას კოსმოსში დაასრულებს**



**ამ ფულს ორი კომპანია გაიყოფს — 2017 წლისათვის კომპანიებმა უნდა შექმნან ხომალდები, რომლებსაც შეეძლებათ, მიიყვანონ ასტრონავტები საერთაშორისო კოსმოსურ სადგურში. ამჟამად ხალხის გაგზავნას სადგურზე აწარმოებს მხოლოდ რუსეთი, თანაც ერთი ადგილი „სოიუზში" „ნასას" უჯდება 70 მილიონ დოლარზე მეტი.**

**ზავი დონეცკში დასრულდა ორი დღის წინათ — არმია გამუდმებით ბომბავს ქალაქს, განაცხადეს დონეცკის სახალხო რესპუბლიკაში**

**დონეცკის სახალხო რესპუბლიკის პირველი ვიცე-პრემიერის ანდრეი პურგინის ვერსიით, გარდატეხა, რომელმაც საბოლოოდ შეწყვიტა დაზავება, დაიწყო როდესაც კარციზსკში ავტოსადგურზე „ჩამოვარდა რაღაც უზარმაზარი, რისგანაც წარმოიქმნა ორი მეტრის სიღრმის ექვსმეტრიანი ორმო, „ეს მომენტი გახდა სასტარტო წკიპურტი, როდესაც დაიწყეს მძიმე შეიარაღების გამოყენება", — განაცხადა მან.**

**თეთრი სახლი რუბლის კურსის დასუსტებას განიხილავს, როგორც იმის დადასტურებას, რომ სანქციები მუშაობს**

**„ეს არის იმის დასტური, რომ რუსეთი იხდის თავის საფასურს", — აღნიშნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პრესმდივანმა ჯოშ ერნესტმა. რუსეთის ხელისუფლება მიიჩნევს, რომ რუბლის დასუსტება, პირიქით, ამსუბუქებს სანქციების გავლენას რუსეთის ეკონომიკაზე.**



◉ ერო და ბერო, გამომეხმაურე!

**მართლაც, რა ყოფილა ეს სიბერე, რამდენ რამეს მოვესწარი!.. ამ ცხოვრებაში კარგთან ერთად ბევრი ისეთი სიავეც მინახავს, რომელთა გახსენებაც დღეს საერთოდ არ მინდა. მაგრამ წარსულში განცდილი სიავე ერთად გადაფარა იმან, რაც ამასწინათ ჩემი ყურით მოვისმინე.**

**კერძოდ, რა?**

ოთხმოცდაექვსი წლის მოხუცი, წყნეთის ერთ-ერთი საუბნო მაღაზიის წინ ვდგავარ. იქვე ორი ზრდასრული ქართველი მამაკაცი ერთმანეთში ცხარედ კამათობს. მისდაუნებურად შორიახლოდან მათ უსმენს შესანიშნავი მანდილოსანი, ამავე მაღაზიის გამყიდველი. აქედან მეც ყველაფერი მესმის. ეტყობა, ისინი ორივე დისტრიბუტორები არიან. კამათი თითქოს წყნარდება და უკვე ის მომენტია, რომ ერთმა მეორეს უთხრას — „დედას გეფიცები“ და ამით წერტილი დაესვას კამათს... ამ დროს მესმის საკუთარი დედის გინება: „ჩემი დედა... მოვ... იმავეს, კიდევ უფრო უხეში ფორმით საკუთარი შინაგანი სისუსტის დასაფარავად იმეორებს მეორე არაკაციც, ქართული ზნეობის ნამდვილი ქვეწარმავალი!!!




# ქართულ ზნეობას საფრთხე ემუქრება!

ყოველივე ამის შემსწრე და გამგონე ცუდად ვხდები. ერთბაშად სუნთქვა შემეკრა! მაგრამ ბოლოს ძალა მოვიკრიბე. ვიცი, რომ ამ არაკაცებთან ტოლობის ნიშნის დასმა არ შეიძლება (ან სად არის ჩემს ასაკში ამის რესურსი). მაგრამ ჩემი შინაგანი განრისხება ხმამაღლა მაინც მივახალე ჩვენი საუკუნის ვირის ტკიპებს. ისინი გაიძურწნენ. ასეთ სამარცხვინო ქართველს ჯანდაბამდის გზაც ჰქონია.

მაგრამ ამ არაკაცებმა დამიტოვეს „შავად მღელვარე“ მწარე ფიქრები. ეს რა უბედურება ხდება დღევანდელ საქართველოში? ვეკითხები ჩემს თავს ისე, თითქოს საკუთარი დედის მისამართით ამ ბილწსიტყვაობაში მეც ვიყო დამნაშავე. მსოფლიოში სულ არის ენების ათი ოჯახი და მასში ქართულს დამოუკიდებლად უკავია თავისი საპატიო ადგილი. აღრიცხულია, რომ დღევანდელი კაცობრიობა ლაპარაკობს 5.651 ენაზე. მათგან დამწერლობა აქვს მხოლოდ 14-ს და აქედან ერთ-ერთი უძველესთაგანი არის ქართული! და ეს ყველაფერი, როგორც ყოველ ჭეშმარიტ ქართველს, მეც მეამაყება. მაგრამ არა და არ მცილდება შვილთა მხრიდან საკუთარი დედის მისამართით გამოთქმული ბილწსიტყვაობა. მახსენდება ჩემს ბავშვობაში, თვით საბავშვო ბაღის, დაწყებითი სკოლის ასაკშიც როგორ თავპირს ვუმტვრევდით ერთმანეთს საკუთარი დედის შეურაცხყოფისათვის.

ქართველი კაცისთვის დასაბამიდან დღემდე დედის სახელი დაკავშირებული იყო ყველაფერ კარგთან, საუკეთესოსთან. ამიტომაც პლანეტას, სადაც ის ცხოვრობს, მან უწოდა — **დედამიწა,** ქვეყანა სადაც დაიბადა, ფეხი აიდგა — **დედასამშობლო,** ენას, რომელზეც ამეტყველდა უწოდა **დედაენა,** მშვენიერებას, რომელიც პირველი აღიქვა — **დედაბუნება,** საცხოვრისის მთავარ საყრდენს უწოდა — **დედაბოძი,** აზროვნებაში — მთავარ, წამყვანი მიმართულებას — **დედააზრი...**

და დღეს, როცა ფიქრობ ყველაფერ ზემოთქმულზე, ლოგიკურად მიდიხარ იმ დასკვნამდე, რომ ქართული ეროვნული ზნეობა, მისი აღმოცენება და განვითარება თავისი ფესვებით სისხლხორცეულად დაკავშირებულია ქართველი დედის სახელთან. სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ ჩვენი ეროვნული ზნეობის შინაგანი ხიბლი, განსაკუთრებულობა, სიფაქიზე, საკუთარი ეთნოსური ღირსებანი მსოფლიოს ხალხთა კულტურის საერთო საგანძურში. ქართველობას მრავალი საუკუნის მანძილზე, როგორც სლოგანი თან მოგვყვება ხალხური სიბრძნე: **„ათასად კაცი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა“.**

და დღეს, რაც მე ზემოთ ჩამოვთვალე, ყოველი ჭეშმარიტი ქართველი კაცის სიამაყეა. ყველაფერი ეს ხომ სინამდვილეა. არც ერთი მათგანი ე. წ. ყურით მოთრეული, ლიტერატურული გამონაგონი არ არის. იგი ბეჭედდასმულია საუკუნეების მიერ, მაგრამ რა ვქნათ მაშინ, თუ კი ვინმე უცხო ქვეყნის მკვიდრმა ავყიაობით წამოგვძახოს: „შენ იმ ქვეყნის შვილი ხარ, რომელიც საკუთარ დედას აგინებსო!“ ვაი სირცხვილო, სად არის სიწითლე შენი!

რა ვქნათ, რა ვაკეთოთ, რა ვილონოთ?! დღეს ეს არის ჩვენი ქვეყნის ნამდვილი უბედურება. რომელიც სარკომასავით ემუქრება ქართულ ზნეობას!.. ერთი პერიოდი ვფიქრობდი, დაგვეწყო ბრძოლა საგვარეულო კავშირების მეშვეობით, მაგრამ არა! სულ სხვა ზომებია მისაღები. შვილის მხრიდან საკუთარი დედის გინება წარმოუდგენელი ფორმით უნდა ამოიშანთოს მხოლოდ და მხოლოდ კანონის ძალით. კერძოდ, ადმინისტრაციული სანქციებით — ჯარიმებით, შრომითი იძულებით ან რაიმე სხვა ფორმით. არადა, საქმე ეხება ერის შერცხვენას, ერის სახელს, მის ღირსებას! აქ არ გამაგონოთ პოზიცია ან ოპოზიცია. საქართველო ყველასთვის ერთია, თუთაშხიასი არ იყოს — „ასეა ეს“!

დაბოლოს — კიდევ ერთი საკითხი. ბრძენი ქართველი კაცის ნათქვამია და ხალხმა დღემდე შემოინახა — „ენაზე მომდგარ სიტყვასა განა სუყველას თქმა უნდა?!“ ეს საკითხი ეხება მასმედიას და მისი გადასაწყვეტია. რეალურ ცხოვრებაში ფსიქიკურად გაუწონასწორებელ ადამიანთა მხრიდან ბევრი ისეთი ამაზრზენი ფაქტი ხდება, რომელთა განზოგადება ფართო აუდიტორიის წინაშე აუცილებელი არ არის. მაგალითისთვის მხედველობაში მაქვს გაზეთ „ახალი თაობის“ სამი სექტემბრის ნომერში დაბეჭდილი კახეთის საინფორმაციო ცენტრის მასალა. ან TV „რუსთავი-2“-ის საღამოს გადაცემა „გააცინე და მოიგე“. ხუმრობა თავისთავად კარგია, მაგრამ ზოგიერთი ხუმარა სტუმრის ხუმრობა ისეთია, რომ თვითონ წამყვანებს თავი მაღლა ვერ აუწევიათ.

მართლაცდა რას ჰგავს ეს?!

ჩემო ძვირფასო მკითხველო, პირველ რიგში ჟურნალისტებო, მწერლებო, საზოგადო მოღვაწენო, მრავალჭიგადანახადი კაცი გევედრებით, რომ გამომეხმაუროთ, მხარი დამიჭიროთ და ერთიანი ძალით ამოვშანთოთ შვილის მხრიდან საკუთარი დედის მისამართით ბინძური ბილწსიტყვაობა ქართული ლექსიკიდან!

კარგად დავფიქრდეთ, ვიაქტიუროთ...

ერთიც: განა შეიძლება იმის მოთმენა, რომ ქუჩაში, ეზოებში, განსაკუთრებით ღამის 12 საათის შემდეგ, ხორხოცი, ღრიალი, დედის გინება, მაშხალების ტკაცუნი, „დამფრთხალი“ მანქანების სირენების ხმა გვიფრთხობს ძილს და განმკითხავიც არავინ ჩანს?!

ეეჰ, „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?..“

**გიორგი ნაჭყებია,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი,**
**საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.**

◉ წერილი რედაქციას

# „ბარაქალა, ჩემო სტატიავ, ბარაქალა!“

**ილიას ეს ცნობილი ფრაზა იმიტომ მოვიშველიე, რომ ძალიან სასიამოვნო ყოფილა, როცა შენ შენიშვნას უმალვე გაითვალისწინებენ... ოპონენტები!**

**როგორც კი გამოვაქვეყნე სტატია „რაინდთა მოთმინების ზღვარი“ (გაზ. „საქართველო და მსოფლიო“, 11.06.2014), ჩემმა პატივცემულმა ოპონენტმა „პედაგოგიკის დოქტორმა“, „განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრმა“, ანუ, მოკლედ და მარტივად რომ ვთქვათ, „აკადემიკოსმა“, ბ-ნმა ზ. ცუცქირიძემ თავის შემდგომ სტატიებში, არც მეტი, არც ნაკლები, ეგრევე მოიხსნა ეს ტიტულები... სახელიც მშვენიერი აქვს (ზურაბი) ამ ოჯახაშენებულს და გვარიც (ცუცქირიძე) და რა ეაკადემიკოსებოდა, თუ ღმერთი გწამთ, „ტოჟე მნე“ შალვა ნუცუბიძე! — რამდენადაც ვიცი, ერთი მეცნიერული მონოგრაფიაც არ გამოუქვეყნებია, ხოლო თუ აქვს, მაგას მიმალავს, მაჩვენოს ერთი, რომ ვნახო, ისევ ილიას სიტყვებით, „რა წითელი კოჭი ბრძანდება“!**

**რაც შეეხება ჩემს ე.წ. საპასუხო წერილს ბ-ნი ცუცქირიძის ორ სტატიაზე (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ ა.წ. 30.V. და 19.VI), იგი აუცილებლად იქნება, მით უმეტეს, რომ ამასობაში არ დაზარებია და მეორე სტატიაც გაუშანშალებია (ისე, ეგებ გამომრჩა და მესამეც გამოაცხო, მაგ შეჩვენებულმა?!)... დიახ, საპასუხო წერილი უსათუოდ იქნება, მაგრამ ჯერ პასუხს ველოდები თვით განათლების მეცნიერებათა აკადემიისგან, რომლის პრეზიდიუმმა, ჩვენი დასის თხოვნით, განიხილა მისი წევრის „საქმენი საგმირონია“. — თუმცა, ამთავითვე, შემიძლია, გითხრათ, რომ ეს წერილი განმარტებაა მკითხველისადმი და არა ოპონენტისადმი, რომელსაც თავს ვერაფრით გავუყადრებ, ვერაფრით. რა ჩემი ტოლია — ასაკით დაწყებული და გაგრძელებულ-დამთავრებული ყველა, ვიმეორებ, ყველა პარამეტრით... ლეგენდარული ჟორჟიკა იაშვილის არ იყოს (ერთხელაც რომ ვიღაც, ჩემი ოპონენტივით ბაქია, წამოეჭიმა, თუ ასე მაგარი ხარ, გამოდი გარეთ, დავარტყათო და სუფრის ლომმა მშვიდი ღიმილით მიუგო, ჰო, ბიჭო, სულ მაგ ჭკუაზე ვარ ახლა, ეს გოჭის თავი გადავაგდო და შენ გიბაგუნოო...), ამ ვაჟბატონსაც ჩემთან პაექრობა ეამაყება და, აბა, ერთი მეც მკითხოს...**

**პატივისცემით,**
**გ. დოლიძე**

**P. S. „ჩემთან ჯიბრი გადაგიტანს, იცოდე, გირშელ!“ — გ. დ.**

◉ ალიანჩალიანი

## თავდაცვის მინისტრის ვაჟმა თანამებრძოლებთან ერთად ფიცი დადო

**საქართველოს შეიარაღებულ ძალებს 72 სამხედრო მოსამსახურე შეემატა, მათ შორის არის თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას ვაჟი ნიკა ალასანია. ფიცის დადების ცერემონიალი ეროვნულ სასწავლო ცენტრ „კრწანისში“ გაიმართა. თავდაცვის მინისტრი მეუღლესთან ერთად ფიცის დადების ცერემონიას დაესწრო. როგორც ირაკლი ალასანიამ ჟურნალისტებს ფიცის დადების ცერემონიის შემდეგ განუცხადა, მისი შვილის გადაწყვეტილება სამხედრო სამსახურის თაობაზე ლოგიკური იყო.**

**„ნიკა უკვე შეიარაღებული ძალების დიდი ოჯახის ნაწილი გახდა იმ 72 ბიჭთან ერთად, ვინც დღეს ფიცი დადო და აქ თვისობრივად ახალი ცხოვრება დაიწყო, განსხვავებული ცხოვრება. ბევრს შეიძლება ამ ერთი წლის განმავლობაში სავალდებულო სამსახურში. გამიხარდა, რომ მან ეს გადაწყვეტილება თავად მიიღო. ისეთი ბავშვები ჰყავდა, რომ ეს გადაწყვეტილება ლოგიკური იყო. დანარჩენს ვნახავთ, როგორც მეუბნებიან, კარგად ჩაბარა. დარწმუნებული ვარ, რომ ბევრ რამეს მიიღებს შეიარაღებულ ძალებში სამსახურიდან“, — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.**

**წვევამდელებმა საწყისი საბრძოლო მომზადება სამი კვირის განმავლობაში ეროვნულ სასწავლო ცენტრში გაიარეს. ამ ხნის განმავლობაში მათ ტოპოგრაფია, საცეცხლე მომზადება, სამხედრო წესდება და ტაქტიკა შეისწავლეს. კურსის დასრულების შემდეგ, სამხედრო მოსამსახურეები „კრწანისის“ დაცვის ასეულში ჩაირიცხებიან და ერთი წლის განმავლობაში ბაზის დაცვის ფუნქციებს შეასრულებენ.**

## ტარდება „112“-ის ოპერატორების ტრენინგი

**შსს-ს აკადემიაში გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ის თანამშრომლებისათვის სპეციალურად დაგეგმილი, სტრესის მართვის ტრენინგი ტარდება. ტრენინგის ძირითადი თემებია: კრიზისის დროს ქცევა, ნეგატიური სტრესის გავლენა, ემოციურად რთული ზარების მართვა და პერსონალური ფსიქოჰიგიენის შენარჩუნება.**

**როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროდან იტყობინებიან, გამომდინარე იქიდან, რომ „112“-ის თანამშრომლებს ხშირად უწევთ სტრესულ და დაძაბულ გარემოში მუშაობა, მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ემოციების მართვა და კონტროლი. ამიტომ „112“-ის ოპერატორები და დისპეტჩერები კრიზისული სიტუაციების დროს ადამიანის მოქმედებების შესახებ ცოდნას დაეუფლებიან და მიიღებენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ აისახება სტრესი გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, დამოკიდებულებებსა და კომუნიკაციაზე.**

**შსს-ში მიიჩნევენ, რომ ტრენინგი „112“-ის ოპერატორებს ხელს შეუწყობს მოქალაქეებთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარებაში და ემოციების მართვის უნარების შეძენაში ნებისმიერი სტრესული სიტუაციის დროს.**

## პროკურატურის ორგანიზებით

**პროკურატურის ორგანიზებით, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე დაბა კაჭრეთში ტრენინგი მიმდინარეობს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ მთავარი პროკურატურიდან აცნობეს, ტრენინგს მთავარი პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი და 20-მდე პროკურორი ესწრება.**

**ტრენინგის მიზანია პროკურორთა სპეციალური ჯგუფის გადამზადება პროფესიონალიზმის ამაღლების მიზნით, რომლებიც შემდგომში ამ კატეგორიის საქმეებზე საპროცესო ზედამხედველობას განახორციელებენ. ტრენერად მოწვეულია ამერიკელი პროკურორი და ექსპერტი მიშელე მორგანი, რომელიც ქართველ პროკურორებს გამოცდილებას გაუზიარებს.**

**ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა არის საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება. ამ კატეგორიის დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად, დანაშაულის გამოვლენისა და დანაშაულში პასუხისგებაში მიცემასთან ერთად, უმთავრესია მათი მართლმსაჯულების წინაშე წარდგენა და დასჯა, სადაც პროკურორის როლი გადამწყვეტია.**

**ინტერპრესი**

◉ ალიანჩალიანი

## პარლამენტის დაფინანსება 1 155.6 ათასი ლარით მცირდება

**ამის თაობაზე შემუშავებული პარლამენტის დადგენილების პროექტი გუშინ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე განიხილეს.**

**წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში საქართველოს პარლამენტისათვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობა 1 155.6 ათასი ლარის ოდენობით მცირდება და აღნიშნული თანხა მიმართული იქნება საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებში.**

**კომიტეტის უმრავლესობამ საკითხს მხარი დაუჭირა, ოპოზიცია — არა.**

**ინტერპრესი**

დაფასება

# ედიშერ მაჩაიძეს – ოქროს სასტვენი



**სამი ათეული წელიწადია, ხალიჩაზე ვხედავთ სასტვენით ხელში. იშვიათად, რომ მის გადაწყვეტილებას ვინმე შეწინააღმდეგებოდეს, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულის განმავლობაში. მძლეველიცა და ძლეულიც ერთნაირად ემადლიერება ობიექტური მსაჯობისთვის. თავად გახლდათ მოჭიდავე და არაერთხელ უგრძვნია მიკერძოებული არბიტრობის სიმწარე, ამიტომაც ყოველთვის ცდილობს პირნათელი იყოს, უპირველესად, საკუთარი თავის წინაშე.**

ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ინსტრუქტორზე, ოლიმპიური კატეგორიის არბიტრ ედიშერ მაჩაიძეზე მოგახსენებთ. „კლასიკურ" ჭიდაობაში საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი, ამდენჯერვე საკავშირო თასის მფლობელი და ევროპის პრიზიორი 24 წლის იყო, მძიმე ტრავმა რომ მიიღო. აქტიურ სპორტთან განშორების შემდეგ პასუხსაგებ თანამდებობებზე იმუშავა: იყო სახელმწიფო მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში, სსრკ მწვრთნელი საქართველოში, უმაღლესი დაოსტატების სკოლისა და ფიზკულტურის ტექნიკუმის დირექტორი, თბილისის განათლების სამმართველოს უფროსი, საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, სპორტის აკადემიის სპიკერი და კათედრის გამგე. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის კურსდამთავრებული, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორია. ამჟამად ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი სპორტის უნივერსიტეტის პროფესორი გახლავთ.

ზემოთ ჩამოთვლილი იერარქიული საფეხურების გავლის მიუხედავად, ედიშერ მაჩაიძე წუთითაც არ შელევია ხალიჩას – 1984 წლიდან დღემდე სხვადასხვა დონის შეჯიბრებებში თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ორთაბრძოლებს მსაჯობს. იყო საკავშირო, საერთაშორისო, ექსტრაკლასისა და ოლიმპიური კატეგორიის არბიტრი. ახლა, როგორც აღვნიშნეთ, ფილას ინსტრუქტორია. რომ არაფერი ვთქვათ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე, სამჯერ ოლიმპიურ თამაშებზე (ათენი, პეკინი, ლონდონი) იყო მიწვეული არბიტრად და ყველგან უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

გასულ უქმეებზე უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდა. შეჯიბრების საზეიმო დახურვამდე ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ ედიშერ მაჩაიძეს მის მიერ განვლილი გზისა და მსაჯობაში საუკეთესო მაჩვენებლებისთვის საპატიო ჯილდო – ოქროს სასტვენი გადასცა. საგულისხმოა, რომ ამგვარი პატივი რჩეულთა შორის რჩეულებს ოთხ წელიწადში ერთხელ ერგებათ. მსგავსი ჯილდო საქართველოდან ჯერ არავის მიუღია.

**ბატონო ედიშერ, კიდევ ერთ აღიარებას გილოცავთ!**

**ვაჟა დანელია**

კერა

# სპორტის კოლეჯი აღადგინეს!



**გივი კარტოზია, დავით ციმაკურიძე, გოგი სხირტლაძე, ვახტანგ ბლაგიძე, მუხრან ვახტანგაძე, რაფაელ ჩიმიშკიანი, ბორის ნიკიტინი, სარქის სარხოიანი, ბორის სიჭინავა, ნოდარ ლეჟავა, გოჩა გავაშელი, ვარლამ ლიპარტელიანი – აი, არასრული სია იმ სახელოვანი სპორტსმენებისა, რომლებიც 1933 წელს თბილისში დაფუძნებულ ფიზკულტურის ტექნიკუმში აღიზარდნენ.** 21-ე საუკუნის დასაწყისში სასწავლებელს კოლეჯი ეწოდა. წინა ხელისუფლებამ, სპორტის აკადემიის მსგავსად, 2009 წელს ეს კოლეჯიც დახურა, მისი ბაზები კი გაიყიდა. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, პარლამენტის შესაბამისი დარგობრივი კომიტეტის თაოსნობითა და ძალისხმევით განათლების სამინისტრომ 2014 წელს კოლეჯის (დირექტორი – თემურ ლორთქიფანიძე) ფუნქციონირება აღადგინა. სასწავლებელი განთავსებულია სპორტის უნივერსიტეტის მესამე სართულზე და უკვე 100 აბიტურიენტის განცხადებაა მიღებული მწვრთნელის, სამკურნალო მასაჟისა და სამთო გამყოლის სპეციალობებზე. გაისად კიდევ სამი მიმართულება გაიხსნება – კორესპონდენტ-ფოტოგრაფის, ადაპტური ფიზიკური აღზრდის, სპორტისა და მაშველის (სამთო და საწყლოსნო). წლეულს 26 სექტემბერსა და 5 ოქტომბერს გამოცდები ჩატარდება ფიზიკურ მომზადებასა და ზოგად უნარებში. სასწავლო პრაქტიკის გასავლელად კოლეჯის ხელმძღვანელობამ ხელშეკრულებები გააფორმა სპორტულ ბაზებთან. სასწავლებლის მიზანია საქართველოს ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი თაობა აღუზარდოს.

**ლექსო ცინცაძე**

ჩემპიონთა ლიგა

# სტარტიც ასეთი უნდა!

**ჩემპიონთა ლიგის ახალი სეზონის სტარტი ისტორიული ფაქტით აღინიშნა: მადრიდის „რეალის" ფრანგმა თავდამსხმელმა ქარიმ ბენზემამ „ბაზელთან" შეხვედრის მეორე ტაიმში ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირში გამოსვლის ნახევარი საუკუნის განმავლობაში „სამეფო კლუბის" მეათასე გოლი გაიტანა – 5:1.**



მოგეხსენებათ, კასტილიის სიამაყე საპატიო ჯილდოს 10-გზის მფლობელია, რაც „ძველი სამყაროს" გრანდებს შორის საუკეთესო მიღწევაა. და აი, ესპანელთა მორიგი რეკორდი.

მნიშვნელოვანმა ეპიზოდებმა მოაქცია ყურადღების ცენტრში ლისაბონის „ბენფიკასა" და სანკტ-პეტერბურგის „ზენიტის" მატჩი. კერძოდ, სწორედ პორტუგალიის დედაქალაქში გავიდა წლევანდელი გათამაშების პირველი გოლი (ჰალკი) და მოხდა ასევე პირველი გაძევება (მასპინძელთა მეკარე არტური). რაღა გასაკვირია, რომ ნევისპირელებმა უპრობლემოდ მიიყვანეს საქმე ლოგიკურ გამარჯვებამდე – 2:0.

ხმაურიანი სენსაცია მწიფდებოდა „ლივერპულისა" და ელიტის ბულგარული დებიუტანტის „ლუდოგორეცის" ბრძოლაში, რომლის ბედიც მერსისაიდელთა სასარგებლოდ მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე ბალკანელთა კარში დანიშნულმა პენალტმა გადაწყვიტა (ჯერარდი) – 2:1.

უცნაურად განვითარდა მოვლენები დღის ცენტრალურ სანახაობაში, სადაც დორტმუნდელთა ახალწვეულმა იმობილემ პარტნიორთა მიერ განიავებული რამდენიმე სახიფათო მომენტის შემდეგ ანგარიში შესვენების წინ გახსნა, ხოლო ობამეიანგმა გერმანელთა უპირატესობა თამაშის განახლებისთანავე განამტკიცა – 2:0.

**დანარჩენი შედეგები:** „მონაკო" – „ლევერკუზენი" 1:0, „ოლიმპიაკოსი" – „ატლეტიკო" 3:2, „იუვენტუსი" – „მალმიო" 2:0, „გალათასარაი" – „ანდერლეხტი" 1:1.

**გიორგი შოთაძე**



ეგზოტიკური სპორტის სახეობა

# როცა „საჭიდაო ხალიჩის" მიღმა წაწვეტებული სარებია ჩარჭობილი...

**ჭიდაობა დედამიწაზე ერთ-ერთი უძველესი სპორტული ორთაბრძოლაა, შესაბამისად, უკლებლივ ყველა ხალხს, ცალკეულ ეთნოსსაც კი, ამ უაღრესად ვაჟკაცური და სანახაობრივად არაჩვეულებრივად მიმზიდველი ჭიდილის საკუთარი, სხვებისგან განსხვავებული წესები აქვს.**

ჭიდაობის ნაირსახეობათა აუარებაში იაპონელთა სუმო მაინც ყველასგან გამორჩეულია. სუმოს შესახებ პირველი სარწმუნო ცნობები მე-7 საუკუნის შუა ხანებს განეკუთვნება. 642 წლის მეორე თვეს, იაპონიის იმპერატორის კარზე კორეის იმპერატორის წარგზავნილის პატივსაცემად სუმოს ტურნირი გაიმართა. მას შემდგომ ამ ტიპის ტურნირებს ყოველწლიურად მართავდნენ და მათ საშემოდგომო სამუშაოთა დასრულების, ჭირნახულის დაბინავების დღესასწაულს უძღვნიდნენ.

ერთ-ერთი ვერსიით, მე-16 საუკუნემდე „დოჰიოს" (ანუ სუმოს საასპარეზო რინგის) ერთგვარი ანალოგი გარკვეულ ამაღლებაზე ეწყობოდა ხოლმე, მის მიღმა კი ბასრ სარებს არჭობდნენ. ამდენად, „დოჰიოს" გარეთ გადაგდებული მოჭიდავე ამ სარებს წამოეგებოდა ხოლმე, რაც, სულ მცირე, უმძიმეს ტრავმებს აყენებდა, ხშირად კი სიკვდილით მთავრდებოდა. „სპორტის" ასეთი სახეობის არსებობა დანამდვილებით ისტორიული მონაცემებით დასტურდება, თუმცა ბოლომდე მაინც გაურკვეველია, თუ რა კავშირი ჰქონდა მას თავად სუმოსთან.

თუ არა გაშლილი ხელით, სხვაგვარი გარტყმა სუმოში აკრძალულია ისევე, როგორც დაუშვებელია თვალებში და გენიტალიებში დარტყმები. ასევე აკრძალულია თმაში, ყურებში, თითებსა და გენიტალიების დამფარავ „მავასის" ნაწილში (ასე სუმოში საზარდულის დამცველ ერთგვარად დახვეულ ქამარს უწოდებენ – რედ.) ხელის წავლება. გარდა ამისა, არ შეიძლება მხუთავი ილეთების ჩატარება. მეტი შეზღუდვები სუმოში არ არის. ამიტომაცაა, რომ მოჭიდავეთა არსენალში არაერთი „ეგზოტიკური ილეთია", მაგალითად, სილის გაწნა, ხელის კვრა, აკრძალულების გარდა სხეულის ნებისმიერი სხვა ნაწილების განსაკუთრებით კი ქამრის შებოჭვა, აგრეთვე სხვადასხვა გდებები, სარმები და კვანტები.



პროფესიულ სუმოში სპორტსმენთა წონითი კატეგორიები არ არსებობს, ამდენად ორთაბრძოლის შედეგის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია მოჭიდავის მასა. დამწყებთა გარდა თითქმის ყველა სპორტსმენი 100 კილოგრამს და მეტს იწონის.

სეკეტორების წონა კი (უმაღლესი დივიზიონების მოჭიდავეების) აუცილებლად 120 კილოგრამს უნდა ჭარბობდეს.

საშუალო სუმოისტის სხეულის მასაში ქონის წილი, ფაქტობრივად, ისეთივეა, როგორიც მისი ასაკის საშუალო ობივატელისა. ჭარბი წონის დროს კუნთოვანი მასაც ასევე ძალიან დიდია.

სუმოისტების ორთაბრძოლაში ერთმანეთს არ შეიძლება შეხვდნენ ერთი ჰეის (სკოლის) მოჭიდავეები, აგრეთვე ღვიძლი ძმები, თუნდაც ისინი სხვადასხვა ჰეების წარმომადგენლები იყვნენ, თუმცა კი ეს უკანასკნელი პირობა ოფიციალურად დათქმული არ არის. აღნიშნული გარემოება „ჩაწყობილი" ორთაბრძოლების თავიდან ასაცილებლადაა შემოღებული.

მთლიანობაში იოკოძუნის (უმაღლესი კატეგორიის მოჭიდავის) წლიური შემოსავალი, რომელშიც სხვა შემოსავალიც (ვთქვათ, რეკლამით მიღებული) შედის, დაახლოებით მსოფლიო დონის ფეხბურთელის წლიური შემოსავლის ტოლია.

იაპონია სუმოს აღიარებული ცენტრია და ერთადერთი ქვეყანაა, სადაც პროფესიონალთა შეჯიბრებები ტარდება. სხვა ქვეყნებში, სადაც სუმო პოპულარულია, მხოლოდ სამოყვარულოო სუმო არსებობს.

სუმოს მოჭიდავეებს განსაკუთრებული თმის ვარცხნილობა აქვთ, რომელსაც „ტაკაიამა" ეწოდება. ტაკაიამას ვარცხნილობის ოსტატებს ყოველთვის დიდ პატივს მიაგებდნენ. სილამაზის გარდა, თმის ამ ვარცხნილობას ის თვისება აქვს, რომ ის კეფაში მიღებულ დარტყმებს არბილებს, რომელიც მოჭიდავემ შესაძლოა მიიღოს, ვთქვათ, დაცემისას.

ნებისმიერი დონის მოჭიდავეს ავტომანქანის საკუთრივ მართვა აკრძალული აქვს, დამრღვევს კი მკაცრი სასჯელი ელის. კერძოდ, 2007 წელს ამ აკრძალვის დარღვევაში მხილებული კიოკუტენჰო ერთი ტურნირით დისკვალიფიცირებული იყო, რასაც ავტომატურად რანგით მნიშვნელოვნად დაქვეითება მოჰყვა.

**ნინო ალექსანდრია**

**წიგნი — მატიანე**

# „სენაკი — ჩემპიონთა საბუდარი“

**სენაკი საქართველოს ულამაზესი კუთხის სამეგრელოს დიდი ისტორიული და კულტურული ტრადიციების მქონე ცენტრია. ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნეში ერისთავ ქუჯის მიერ აგებული ციხეგოჯი ახალი წელთაღრიცხვის III საუკუნეში ეგრისის სამეფოს დედაქალაქი ხდება. „სენაკი“ ძველი ქართული ლექსიკონის მიხედვით სალოცავ ადგილს, ბერმონაზვნებისთვის განკუთვნილ პატარა ნაგებობას ნიშნავს.** ქალაქის ტიპის დასახლება, დაბა სენაკი საუკუნენახევრის წინათ გაჩნდა და მისმა გეოპოლიტიკურმა მდგომარეობამ იგი სწრაფად გადააქცია საბაზრო ცენტრად და ქალაქად. მრავალი სახელოვანი ადამიანი აჩუქა სენაკის რაიონმა დედასამშობლოს, რომლებმაც საქვეყნოდ გაითქვეს სახელი კულტურის, მეცნიერებისა და სპორტის სფეროში და სიამაყით ამცნეს მსოფლიოს, რომ ისინი ამ ლამაზი კუთხის შვილები იყვნენ.




სწორედ, ამ კუთხის შვილებმა — სენაკის საკრებულოს გამგეობის ყოფილმა თავმჯდომარემ და სენაკის ყოფილმა მერმა, **ბატონმა ანზორ ცაგურიამ** და საქართველოს დამსახურებულმა ჟურნალისტმა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორმა, ცნობილმა სპორტულმა მიმომხილველმა და სპორტის თემაზე 13 წიგნის ავტორმა ბატონმა **ვაჟა დანელიამ** გადაწყვიტეს სენაკელ სპორტსმენთა და სპორტის მესვეურთა მიღწევების შესახებ შეეგროვებინათ მასალები და ერთ წიგნად გამოეცათ. ეს არცთუ იოლი საქმე გახლდათ, რადგან, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სენაკელები დიდი სპორტული ტრადიციებით არიან ცნობილი და მრავალი მოღწევაც აქვთ საამაყო. სწორედ აქ აიდგეს ფეხი ისეთმა სახელოვანმა სპორტსმენებმა, როგორებიც იყვნენ და არიან ლეგენდარული ფალავანი ნესტორ ესებუა, ძალოსანი **ალიოშა ჯეჯელავა,** ცნობილი მწვრთნელი ჭიდაობაში **დავით დავითაია,** მორაგბე **დათო კილასონია,** მოჭიდავეები — **შოთა მორჩილაძე და ვლადიმერ კანკავა,** მრავალი ფალავნის აღმზრდელი **კარლო ჯოჯუა,** ევროპის მესამე პრიზიორი კრივში **კახა ჟვანია,** საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი **გიორგი დარასელია,** სსრკ ნაკრების წევრი **თეიმურაზ ესებუა,** დიდოსტატი საჭადრაკო კომპოზიციებში **გია ნადარეიშვილი,** ცნობილი ცხენოსნები — **ნანა მელქაძე და გვეჯე ივანიძე,** ყოფილი ფეხბურთელი, აფხაზეთის ომის გმირი, სეპარატისტთა მიერ მუხანათურად დახვრეტილი სოხუმის მერი **გურამ გაბესკირია** და მრავალი სხვა.

გადის წლები. სამწუხაროდ, ახალ თაობას მათი სახელები აღარც ახსოვს. სწორედ, ამის გამო გადაწყვიტეს ანზორ ცაგურიამ და ვაჟა დანელიამ თავიანთი სათაყვანებელი სენაკელების შესახებ უამრავი ინფორმაცია მოეძიათ, დააჯგუფეს სპორტის სახეობების მიხედვით, დაამუშავეს სენაკური სპორტის თითქმის ასწლოვანი ისტორიის უხვი მასალა და მისი სამზეოზე გამოტანა განიზრახეს.

ალბათ, ბევრმა არც იცის რომ ჩვენი სახელოვანი ფალავანის, ოლიმპიური და მსოფლიო სამგზის ჩემპიონის **გივი კარტოზიას** მშობლებიც სენაკის რაიონის სოფელ ნოქალაქევიდან იყვნენ და ბატონი გივიც თავის წინაპართა კუთხეზე უზომოდ შეყვარებული სტუმრად არ ითვლებოდა სენაკში. ანდაც ქალბატონი **ციალა შურღაია,** ჩვენი უსაყვარლესი, მსოფლიოში სახელგანთქმული ფეხბურთელის **დავით ყიფიანის** დედაც სენაკელი გახლდათ და დათოც ხშირად სტუმრობდა დედულეთს, სწორედ აქ გადასცეს სენაკელებმა მას საპატიო კოლხის პრიზი. ჩვენი სახელგანთქმული კალათბურთელის **ზაზა ფაჩულიას** ფესვებიც სენაკს უკავშირდება, დედამისი — ქალბატონი **მარინე კოდუა** თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდში ირიცხებოდა და სენაკელი გახლდათ.

**„სენაკი — ჩემპიოთა საბუდარი“** ასე ჰქვია წიგნს, რომელიც სენაკელ მოჭიდავეებზე, ფეხბურთელებზე, მოჭადრაკეებზე, ცხენოსნებსა და სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლებზე მოგითხრობთ. გაეცნობით ვეტერან სპორტსმენთა საინტერესო თავგადასავლებს. ენციკლოპედიური სტილის წიგნი უხვადაა ილუსტრირებული **ვაჟა დანელიას, ალექსანდრე კოტორაშვილის, შოთა ხარებავას, ჯემალ კასრაძისა** და რესპონდენტთა საოჯახო ალბომების ფოტოებით.

სამწუხაროა, რომ წიგნი მცირე ტირაჟით გამოიცა და, ალბათ, ხელმეორედ გამოცემასაც იმსახურებს, რადგან იგი არამარტო სენაკელთა, არამედ ქართული სპორტის მრავალათასიან ქომაგთა ბიბლიოთეკებს დაამშვენებს.

**მამუკა ვაშაკიძე**

**ეს იცოდით?**

# ქუდიც რომ შეუგდონ, არ შედიან!

## 10 ქვეყანა, რომელთაც ყველაზე ნაკლებად სტუმრობენ

**ყოველწლიურად** UNWTO **ადგენს მსოფლიოს იმ ქვეყნების სიას, რომელთაც ყველაზე მეტად სტუმრობენ.**

**ამის პარალელურად, ორგანიზაციის მოხსენებაში ხვდებიან ის ქვეყნებიც, რომლებსაც ყველაზე ნაკლებად სტუმრობენ. წარმოგიდგენთ ასეთ 10 ქვეყანას.**


ლიხტენშტეინი

**10. პალაუ** — წყნარ ოკეანეში მდებარე ეს ქვეყანა 328 კუნძულისგან შედგება. მოსახლეობა 20,9 ათასი ადამიანია. 2013 წელს ქვეყანა 105 ათასმა ტურისტმა მოინახულა.

**9. მოლდოვის რესპუბლიკა** — საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკა, 2013 წელს 96 000 ადამიანმა ნახა.

**8. აღმოსავლეთ ტიმორი** — ქვეყანა ავსტრალიის ჩრდილოეთით, 450 კილომეტრში მდებარეობს. 2013 წელს მას 78 000 ტურისტი ესტუმრა.

**7. დომინიკა** — კარიბის ზღვასა და ატლანტიკის ოკეანეს შორის მდებარე ეს კუნძულ-სახელმწიფო თავისი პირველყოფილი ბუნებით გამოირჩევა. 2013 წელს ქვეყანას 78 ათასი ტურისტი ჰყავდა.

**6. სენტ-ვინსენტი და გრენადინები** — კარიბის ზღვის ქვეყანას 2013 წელს 72 000 ტურისტი ეწვია.

**5. ანგლია** — ანგლიას კუნძული, რომელიც კარიბის ზღვაში მდებარეობს და რომელიც დიდი ბრიტანეთის ზღვის გადაღმა ტერიტორიაა. კუნძულზე 13 000 ადამიანი ცხოვრობს. გასულ წელს მას 69 000 ტურისტი ესტუმრა.

**4. ლიხტენშტეინი** — ეს მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ქვეყანაა. დაბალი გადასახადები და ლიბერალური პოლიტიკა საბანკო დეპოზიტებთან მიმართებაში, ლიხტენშტეინს ევროპაში „საგადასახადო სამოთხედ“ აქცევს. გასულ წელს ქვეყანას 60 000 ტურისტი სტუმრობდა.

**3. ნიუე** — სამხრეთ წყნარ ოკეანეში მდებარე კუნძულს შარშან 7 000 ტურისტი ჰყავდა.

**2. მონტსერატი** — კარიბის ზღვაში მდებარე ამ კუნძულს შარშან 7 000 ტურისტი ეწვია.

**1. კირიბატი** — წყნარ ოკეანეში მდებარე სახელმწიფო. ქვეყანას შარშან 6 000 ტურისტი სტუმრობდა.

# მსჯავრდებულმა ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა

**მსჯავრდებულმა კუკური სალბიშვილმა ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ერთ შემთხვევაში მან საკუთარი რეკორდი 8 ერთეულით გააუმჯობესა და ამჯერად 25 აზიდვა გააკეთა, მეორე შემთხვევაში კი, იოგას ერთ-ერთ პოზაში, რომელსაც „ბაკასანა“ ეწოდება, 42 აზიდვა შეასრულა.**

სპორტული ღონისძიება ქსნის №15 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში საქართველოს რეკორდების ფედერაციის ორგანიზებითა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მხარდაჭერით გაიმართა.

როგორც საქართველოს რეკორდების ფედერაციის პრეზიდენტმა დავით ბეგიაშვილმა აღნიშნა, კუკური სალბიშვილის დამყარებული რეკორდი უპრეცედენტოა მსოფლიოში.

აღსანიშნავია, რომ კუკური სალბიშვილმა სარეკორდო მაჩვენებელი უკვე მეორედ გააუმჯობესა. მსჯავრდებულმა შარშან მარჯვენა ხელის ორი თითით, წუთში 49 აზიდვა, ხოლო ერთი თითით 17 აზიდვა შეასრულა. აღნიშნული რეკორდი უკვე შესულია აზიის რეკორდების წიგნში.

**მართლმსაჯულება**

## ცვლილებები „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში

**მოსამართლე, რომელსაც უფლებამოსილება საპენსიო ასაკის მიღწევის ან თანამდებობაზე ყოფნის ვადის ამოწურვის შემდეგ უგრძელდება, სასამართლო სისტემაში მენეჯერულ თანამდებობას ვერ დაიკავებს, ხოლო, თუ ასეთ თანამდებობაზეა, მისი დატოვება მოუწევს.**

**მოსამართლეს 65 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ უფლებამოსილება უწყდება. ამასთან, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები 10 წლის ვადით ინიშნებიან, სააპელაციო და საქალაქო სასამართლოებში კი, მათი გამწესდება 3 წლის ვადით ხდება. „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის გათვალისწინებით, თუკი მოსამართლე მისი მონაწილეობით დაწყებული საქმის განხილვის დამთავრებამდე საპენსიო ასაკს მიაღწევს, ან ამ პერიოდში მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნის ვადა გაუვა, მას შეიძლება უფლებამოსილება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე გაუგრძელდეს.**

**იუსტიციის სამინისტრომ პარლამენტს „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებები წარუდგინა, რომლის მიხედვით, იმ ვადის განმავლობაში, როდესაც მოსამართლეს უფლებამოსილება აქვს გაგრძელებული, ის არ შეიძლება დაინიშნოს სასამართლოს თავმჯდომარედ, თავმჯდომარის მოადგილედ, კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარედ, ხოლო, თუკი პირი ასეთ თანამდებობაზეა, უფლებამოსილება შეუწყდება.**

## კიწმარიშვილის საქმეზე ბიოლოგიური ექსპერტიზა ჩატარდა

**ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების საქმესთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, კიდევ ერთი ბიოლოგიური ექსპერტიზა**



**ჩატარდა. როგორც ექსპერტმა ზაზა ალთუნაშვილმა განაცხადა, მიმდინარე კვირაში დაგეგმილია კიდევ ერთი ექსპერტიზა, რომელიც ეროსი კიწმარიშვილის ავტომობილში ტყვიის ტრაექტორიას დაადგენს.**

**რაც შეეხება ბიოლოგიურ ექსპერტიზას, ექსპერტის განმარტებით, კიწმარიშვილის ავტომობილის უკანა სავარძლიდან აღებულია სისხლის ხილული ნიმუშები. ზაზა ალთუნაშვილის ინფორმაციით, თუ სხვა დამატებითი საკითხი არ წამოიჭრა, მიმდინარე კვირაში დაგეგმილი კიდევ ერთი ექსპერტიზა მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ბოლო ეტაპი იქნება.**

## რუსთავის №6 დაწესებულებაში გარდაცვლილი პატიმარი იპოვეს

**წინასწარი ინფორმაციით, პატიმარმა თავი ჩამოიხრჩო.**

**მსჯავრდებულის გარდაცვალების შესახებ, სასჯელაღსრულების სამინისტრომ ინფორმაცია უწყების საიტზე განათავსა.**

**„16 სექტემბერს 08:15 საათზე სასჯელაღსრულების №6 დაწესებულებაში სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ორმა ინსპექტორმა რიგითი შემოვლის დროს 1963 წელს დაბადებული მსჯავრდებული ზ.ს. გარდაცვლილი იპოვა.**

**წინასწარი მონაცემებით, მსჯავრდებულმა საკანში თავი ჩამოიხრჩო.**

**მომხდართან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით. გამოძიებას პროკურატურის ზედამხვედველობით აწარმოებს საგამოძიებო დეპარტამენტი“, — აღნიშნულია სამინისტროს განცხადებაში.**

**უწყების ინფორმაციით, სიკვდილის მიზეზების დასადგენად უკვე დანიშნულია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა და გარდაცვლილი გადასვენებულია სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში.**

**სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით და უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახს.**

## ამოღებულია დიდი ოდენობით ნარკოტიკი

**შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში 1956 წელს დაბადებული ბონდო ც. დააკავეს.**

**შსს-ს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ამოიღეს 157 აბი და 8 ნატეხი „სუბუტექსი“, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 1,28 გრ ბუპრენორფინს შეიცავს. გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა ნარკოტიკი ისრაელიდან უკანონოდ შემოიტანა. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.**

## ჩვენი კარაბადინი

### შეიცვალეთ პოზა!

**დიდხანს ჯდომა არსებითად აუარესებს გულსისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობას, ამტკიცებენ ტეხასის უნივერსიტეტის კარდიოლოგები. მაგრამ ორსაათიანი ჯდომის მავნეობა შეიძლება გავანეიტრალოთ ოცწუთიანი ვარჯიშებით.**

კარდიოლოგები ამბობენ, რომ ნებისმიერ აქტიურობას ჯდომის დროს მოაქვს სარგებელი და გვვირჩევენ ტელევიზორის ან კომპიუტერის წინ შევასრულოთ რაიმე მოძრაობა: ავწიოთ ხელები, გადავჯდეთ ადგილიდან ადგილზე ან თუნდაც უბრალოდ შევიცვალოთ პოზა.

### გამოკითხვა

**თუ აძლევთ ბავშვებს სახარჯო ფულს?**

**51 პროცენტი — ვაძლევთ, ბავშვებმა უნდა ისწავლონ თავიანთი ხარჯების დაგეგმვა.**

**35 პროცენტი — ვაძლევთ, თუმცა ვაკონტროლებთ, როგორ ხარჯავენ ისინი მათ.**

**13 პროცენტი — არ ვაძლევთ, ჩვენ ზედმეტი ფული არა გვაქვს.**

**2 პროცენტი — არა, რა ვიცით, შეიძლება რაღაც მავნე რამ იყიდონ.**

**სულ გამოკითხვაში 669 კაცმა მიიღო მონაწილეობა.**

### არ დაგვავიწყდეს წამალი

**ხანდაზმულ ადამიანთა მხოლოდ 37 პროცენტი ღებულობს რეგულარულად მათთვის დანიშნულ პრეპარატებს, დანარჩენებს ისინი ავიწყდებათ, გამოარკვიეს ექიმებმა ნიუ-იორკიდან. მათ ჩამოაყალიბეს რჩევები, რომლებიც გვეხმარება წამლების დროულად მიღებაში.**

მედიკამენტები უნდა შევინახოთ ერთსა და იმავე ადგილას, უმჯობესია სააბაზანო ოთახში, და მათი მიღება გავხადოთ იმ რიტუალების ნაწილად, რომელსაც ყოველდღიურად ვასრულებთ. მაგალითად, თუ დღეში ორჯერ იწმენდთ კბილებს, უმჯობესია წამალი დავდოთ თაროზე სარკის წინ (რა თქმა უნდა, თუ მისთვის საწინააღმდეგო მაჩვენებელი არა აქვს შენახვის ასეთ პირობებს) და შევაჩვიოთ თავი, გავიხსენოთ იგი უმალვე მას შემდგე, რაც პირში წყალს გამოვივლებთ. თუ წამალი მაცივარში უნდა შევინახოთ, იქიდან კი ყოველთვის იღებთ ჯემს (ყველს და ა. შ.) სასაუზმოდ, წამალი დადეთ ამ პროდუქტის გვერდით და შეეჩვიეთ, გადმოიღოთ ისინი ერთად.



შეიძლება მიიღოთ წამალი მკაცრად განსაზღვრულ დროს, ზუსტად, მაგალითად, 10.17 საათზე და არც ერთი წუთით ადრე ან გვიან — ეს გაიძულებთ ყურადღება მიაქციოთ დროს, ხოლო როდესაც დაინახავთ უკვე 10.21, უმალვე გაგახსენდებათ წამალი.

თუ რამდენიმე წამალს ღებულობთ, ჰკითხეთ ექიმს, შეიძლება თუ არა მათი მიღება ერთდროულად — მაშინ არის შანსი, რომ გაგახსენდებათ რომელიმე მათგანი.

ზოგიერთს ეხმარება მაღვიძარა ან სხვა რაიმე შემახსენებელი.

### ტკბილი წამალი

**ცხელი შოკოლადი გვეხმარება, გავიუმჯობესოთ მეხსიერება ხანდაზმულ ასაკში, ამბობენ ამერიკელი მეცნიერები.**

მათ სთხოვეს 73 წლის 60 ხანდაზმულ ადამიანს, რომლებსაც არ აწუხებდა მოხუცებულობის გონებასუსტობა, დალიონ ერთი ფინჯარი ცხელი შოკოლადი დღეში ერთი თვის განმავლობაში. მეხსიერებისა და აზროვნების ტესტირება მოხალისეებს ჩაუტარეს გამოკვლევამდე და მის შემდეგ. ულტრაბგერის დახმარებით მეცნიერებმა ასევე გაზომეს ნეიროვასკულარული კავშირი (სისხლდენის პასუხი ტვინის აქტიურობაზე).

აღმოჩნდა, რომ იმათი სისხლდენა, ვისაც იგი შესუსტებული ჰქონდა, გაუმჯობესდა 8,3 პროცენტით. და ყველა გამოსაცდელმა გაიუმჯობესა ტესტში ხანმოკლე მეხსიერება.

### ღვიძლს შეიძლება ზიანი მიაყენოს... არასწორმა კვებამ

ზედმეტი ჭამა, რაციონში ცხიმის, ტკბილეულის, შემწვარის, ცხარე საჭმელის სიუხვე მნიშვნელოვნად ზრდის დატვირთვას ორგანოზე და ართულებს მისი უჯრედების დროულ აღდგენას.

**ალკოჰოლის ბოროტად გამოყენება**

ორგანიზმში იგი იქცევა ტოქსიკურ აცეტალდეჰიდად, რომლის ნეიტრალიზებაც ღვიძლმა უნდა მოახდინოს. თუ ეს ხშირად ხდება ან ალკოჰოლის ოდენობა დიდია, მისი უჯრედები ზიანდება.

**მოწევა**

ნიკოტინის კვამლის ჩასუნთქვა ორგანიზმში ზრდის განსაკუთრებულ ნივთიერებებს — ანთებით ციტოკინებს, — რომლებიც აზიანებენ ღვიძლის უჯრედებს.

**ცხოვრების ნაკლებადმოძრავი წესი**

მის ფონზე ღვიძლში შეიძლება დაგროვდეს ზედმეტი ცხიმი, უარესდება მისი სისხლით მომარაგება, უჯრედები კი ნელა აღდგება.

**ვირუსული ინფექციები, კერძოდ, ჰეპატიტი**

სენი რომ არ შეგვეყაროს, ყურადღებით მოეკიდეთ სქესობრივი პარტნიორის შერჩევას, ჩააბარეთ სისხლი შემოწმებულ ლაბორატორიებში, მანიკიური გაიკეთეთ მხოლოდ სერტიფიცირებულ სალონებში.

**წამლის მიღება**

განსაკუთრებით თუ იგი ბევრია, მაგრამ ზოგიერთი პრეპარატი თავისთავად მავნეა ღვიძლისთვის, ასე რომ ისინი უნდა მივიღოთ ჰეპატოპროტექტორებთან კომპლექსში.

### კვირის ციფრები

**ქალების 22 პროცენტი და მამაკაცების 16 პროცენტი კვირაში ერთხელ განიცდიან შიშის გრძნობას, ამბობენ ამერიკელი მეცნიერები.**


## საქართველო ტრადიციული მედიცინის სამშობლოა

### ისარგებლეთ საუკუნეების მანძილზე გამოცდილი ბუნებრივი წამლებით

### „ფერდის“ და „სალხინოს“ კომპლექსური გამოყენება

კლინიკური კვლევების საფუძველზე რეკომენდებულია **„ფერდის“ და „სალხინოს“** ერთობლივი გამოყენება ქიმიოთერაპიის გვერდითი მოვლენების აღმოსაფხვრელად. გააჩნიათ ძლიერი ანტიოქსიდანტური და იმუნომოდულატორული თვისებები. გამოიყენება ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმების დროს, ასევე ენდომეტრიოზის, ჰეპატიტის, ნეფრიტის და კუჭ-ნაწლავის დაავადებების მკურნალობაში.

პირველი 6-7 დღე ინიშნება **„ფერდის“ და „სალხინოს“** კაფსულა 3-ჯერ დღეში ერთდროულად, თითოეული კაფსულის მიღებისას აუცილებელია 200 მლ-მდე წლის მიყოლება. მომდევნო პერიოდში — 2 კაფსულა „ფერდი“ და 1 კაფსულა „სალხინო“ 3-ჯერ დღეში ერთდროულად, დამატებით 2 კაფსულა „ფერდი“ ძილის წინ, მიღების დროს ყველა შემთხვევაში აუცილებელია წყლის მიყოლება. პაციენტი შვებას გრძნობს 10-15 დღის შემდეგ, მკურნალობა გრძელდება 5-6 თვე ან საბოლოო გამოჯანმრთელებამდე.




**„ფერდი“ და „სალხინო“** იკითხეთ აფთიაქებში.

- გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.
- გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84
www.salkhino.ge


## პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** ეს მხოლოდ **ინფორმაცია...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად ღირსეულად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, თევდორე მღვდლის 13 ( აკადემიკოს ფრიდონ თოდუას კლინიკის გვერდით). ტელ.: (995 32)224 00 99, 224 00 98.


რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..


## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

— **მიხო**, ფულის გადადების საშუალება გაქვს?
— გადადების საშუალება მაქვს, ფული — არა.

* * *

— **ისაკ**, იცი რა ეროვნებისაა მაო ძე დუნი?
— მართლა? დაუჯერებელია!

* * *

— **დაშა**, მოდი, ყველაფერი სუფთა ფურცლიდან დავიწყოთ.
— არ გამოვა, შენ მთელი რვეული მოთხვარე.

* * *

— **რებე**, მომისმინეთ, თუ შეიძლება, ძალიან მნიშვნელოვან საკითხზე ვარ მოსული, — ეუბნება რაბინოვიჩი რაბინს.



— რა მოხდა? — ეკითხება რაბინი.
— რებე, ცოლი მოწამვლას მიპირებს.
— ეს წარმოუდგენელია. საიდან დაასკვენი?
— წარმოუდგენელი კი არა, ნაღდია. თვითონ დავინახე, როგორ ჩაყარა რაღაც ჩემს სადილში და კერძს გემო შეუცვალა.
— მოდი, მე დაველაპარაკები შენს ცოლს და გავიგებ, რაშია საქმე. ხვალ მოდი და ჩემს აზრს გეტყვი.

მეორე დღეს მიაკითხა რაბინოვიჩმა. ხედავს, რაბინს წვერი უცანცარებს, ხელები უცახცახებს, თვალები გადმოკარკლული აქვს.

— ახლახან მოვრჩი შენს ცოლთან ლაპარაკს. სამი საათი ველაპარაკე ტელეფონით. მთელი სამი საათი! გაინტერესებს ჩემი აზრი?
— რა თქმა უნდა, რებე!
— წადი და დალიე საწამლავი.


ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოძუაშვილი 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24